

ყოველკვირეული საზოგადოებრივი, საშემსრულებლო და სალიტ. გაზეთი

№ 9

20 ივლისი 1908 წ.

ფასი 10 კ.

შინაარსი: დიდებული საუკუნე.—ნაცია ისტორიის გზაზე, **ონ.—სა.**—სხვა და სხვა ამბები ჩვენსა და რუსეთში.—ოსმალეთი.—სპარსეთი.—პირველ სათათროს დებუტატთა მასმართლება.—ადამის ძეი (ლექსი) **ა. გერასიმისძე.**—დღეები (მოთხრობა) **ან. ერისთავ-ხოშტარიაძე.**—ვსტრიის მომხმარებელ საზოგადოებათა კონგრესი, **მ. მგალობლიშვილისა.**—ქურნალ-გაზეთები—დან.—სახლვარ-გარეთ.—მანცხალება.

დიდებული საუკუნე.

„ველარ ბანუშლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა ბრძოლისა ქროლას“.
ნ. ჭავჭავაძე.

მიუხედავად ყოველივე სიღუბნისა, დებეშათა სა-
აგენტოებს შინც თითქმის ყოველ დღე მოაქვთ ერთი
მეორეზე უფრო საყურადღებო, უფრო სენსაციონური
და გულ-გონების შემბოქვები ამბები. ამ ამბებს ადამიანი
უნებურათ უკარნახებს: „ეინ იფიქრებდა! ვინ იფიქრებ-
და!...“ მართლაც და, ჯერ კიდევ გუშინ, ყველას ეგონა,
რომ აღმოსავლეთი, და განსაკუთრებით სპარსეთი
და ოსმალეთი, წილწოდმილი ქვეყნები იყვენ დესპოტი-
ზმისა, ტირანიისა და რომ აქ თითქმის სამარადისით
დაცხადგურებინა განუკერტელ წყვილადსა და უსაზღვრო
მონობა-შჩაგვრობას. მაგრამ სხვაფრივ განსაჯა მეოცე
საუკუნემ: ანან ერთბაშით სამართლიანობის ცეცხლი გა-
აუჩინა ძველ ქვეყნებს. წყვილია უკვე ირდევია, ითრ-
გუნება, ჰორიზონტი დასერილია განთიადის მომასწავე-
ბელი სხივებით და მალე აღმოსავლეთით აინთება დიადი
ლამპარი თავისუფლებისა!

საქმე დაიწყო რუსეთმა, რომელსაც მუდამ საზღვის-
წერით მოქმედული და გაუტყდმარტებული პირი უჩან-

და. პირველი სხივები აქ, მართალია, ძალიან მაცდური
გამოღვა და დღეს იმპერიის ხალხნი, თითქმის დაქრილი
ლოში სიმწარით თათებს იკენეტავსო, თავისი ტყვილე-
ბით განმარტოებულან; მარა იგინი მისცემიან შინაგან
(პსიხიურ) მუშაობას და ბეჯითად ზრდიან იმედსა და
დაუმრეტელ წყურვილს უხვთ აინახლაურთ დანაკლისი.
ეს კი თავდებია ნიშანში ამოღებულ საქმის განხორცი-
ელებისა. რუსეთის რევოლუციის ტალღები შორით-
შორამდე გადიტყორცნა. იგი მისწვდა თვით ჩინეთის
კედლებს, და ესლა ამ უშოძრობის სიმბოლოდან, „ზე-
ციურ იმპერიიდან“ დაიწებით მოდის ხმები დიდ რევო-
ლუციონურ მოძრაობის მოახლოებისა. რუსეთს ზედ
მიჰყვა სპარსეთი. აქ თითქმის ერთის დაკრიოთვე შემო-
ღებულ იქნა საკმაოდ ლიბერალური კონსტიტუცია და
პარლამენტარიზმი. მართალია ყველაფერი ეს მალე ბარ-
ბაროსულის სიმკაცრით ფეხ-ქვეშ იქნა გათელილი სპარ-
სეთის—და არა მარტო სპარსეთის—ბნელი ძალების მიერ;
მაგრამ სპარსეთის მთელი ვითარება და საქმეთა მსვლე-
ლობა გვარწმუნებს, რომ რეაქცია უეკველათ დამარცხ-
დება და გამარჯვებული რევოლუციონური ხალხი სპარ-
სეთისა ახლათ აგებულ მეფლისის სასახლის თავზე კვლავ
ამაყურათ აღმართავს თავისუფლების დროშას.

სპარსეთში დღეს რეაქცია და რევოლუცია სამკედრო-სასიციოცხოლო ბრძოლის გამწარებით ეყვებებიან ერთმანეთს, და აი ახლა კიდევ ოსმალეთში იქცეა რევოლუცია. ერთი უკანასკნელი დღეში იუწყება, რომ სტამბოლის ქუჩებზე ბაირაღებით გამოსული მრავალი ათასი სული ხალხი და პაერას სძრავს ყიფინით: „გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს კონსტიტუციას!..“ „წითელი სულთანი“ თურმე შეძრწოლდა თავის სასახლეში რევოლუციის პირველივე ხმების გავრენაზე, მაგრამ მან ვერც კი მოასწრო დაესისინა „ხალხის სისხლში ამოვანარჩობ რევოლუციასო“, რომ იძულებული გახდა ასე „ჩაიხმებტებია“ „ჩემი საყვარელი შვილებისათვის (ე. ი. ოტომანის ხალხისათვის) მოიძებნა თავისუფლებო!“ დღეებში სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ სულთანი კონსტიტუციის გამოცხადებამდე დათანხმდა მხოლოდ მის შემდეგ, როცა ბოსფორისა და დარდანელის სიმაგრეთა კომანდირებმა მის (სულთანის) ბრძანებზე—მზათ ყოფილიყვენ აჯანყებულ ჯარების წინააღმდეგ გამოასვლიათ— შეასუხეს: „მომზადებას საჭიროთ არა გცნობთ, რადგან თუკის არა გხდვართ“. რევოლუციურ მოძრაობაში თურმე მონაწილეობას იღებენ ჯარი, აფიცრობა და ბევრი გავლენიანი პირები, ასე რომ ოსმალეთი—ეს უკიდურეს ვითარება-გახრწინილების სიმბოლო—ჩქარის ნაბიჯით უახლოვდება კონსტიტუციონალურ წყობილებას, სახალხო მართვა-გამგეობას.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, ვითომ აქ დასახლებულ ქვეყნებს დღე-ღღვე ელოდეს ახალ პოლიტიკურ წეს-წყობილების განმტკიცება, ვითომ აქ დღე-ღღვე შეიძლებოდეს უზრუნველ-ყოფილი გახდეს პოლიტიკური თავისუფლება. არა, საუკუნოების განმავლობაში მონაბის მძიმე უღელ-ქვეშ მოხრილი ხალხი ერთბაშით ვერა მაგრდება წელში, საუკუნოებით ნატუქი გონება ერთბაშით ვერ იმსკრლება ახალ პოლიტიკურ ცხოვრების სათანადო ცოდნით და თავის საკუთარ გინაობის შეგნებით. მამ ჯერ კიდევ საკმაო ხანი გაივლის, ვიდრე დაწყებულ რევოლუციებს ბოლო მიეცემოდეს და პოლიტიკური თავისუფლება ჯეროვანათ განმტკიცდებოდეს. მაგრამ ერთი რამ არის ყოველსავე ექვს გარეშე. სახელდობრ ის, რომ უკვე ერთი დიდი გამარჯვება სახლოლოთ მოაოვებულია. ყველა აქ დასახლებულ ქვეყნებში უკვე გადადგმულია პირველი, მარა უდიდესი და უმწესესი ნაბიჯი, რომლის შემდეგ უკან გამობრუნება ყოვლად შეუძლებელია. ეხლანდელი სახალხო მოძრაობა სრულებითაც არ ჰვავს საშუალო საუკუნოების ხალხის აჯანყებას. დღეს ხალხის რისხვა მიმართულია არა ამა თუ იმ მანვე პირებზე თუ ჯალათებზე, არამედ მთელ ძველ რეჟიმის წინააღმდეგ, ხალხის მასსა ესწრაფის არა ახალ პირების ვაბატონებას, არამედ ახალ პოლიტიკურ და მოქალაქობრივ ცხოვრებას, თვით-მმართველობას. აი სწორეთ აქ არის წინდი სახალხო გამარჯვებისა, ეს გარემოებაა თავდები, რომ „ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი განახლებას გრიგალის ქრილის“,

„და ლიბსხრევა იგი ბორკილი შემფერხებელი კაცთა ცხოვრების“...

რუსეთისა და მთელ აღმოსავლეთის გაწმენდა ძველ რეჟიმის დარჯავებისაგან თვით დასავლეთსაც ფართე გზას მისცემს და უძლიველ ენერგიას შემატებს სოციალურ მოძრაობისათვის და ასე, დასავლეთ-აღმოსავლეთი, მთელი მშრომელი კაცობრიობა, მძურის სიმებით გადასასკლენი და საერთო ფერხულში ჩამბულნი მედგარის ნაბიჯით წავლენ წინ დიად სოციალურ პრობლემის გადასასწვეტათ, შრომის სუფევის დასამყარებლოთ. მეოცე საუკუნემ დასაქონი ამბებით გახსნა მსვლელობა „და ამ ზვიადმა სიუკუნემა უნდა შეას იგი შრომის სუფევა!..“



III. ნაცია ისტორიის გზასე.

3.

ბ. სოციალიზმის ხანაში.

კაუტკის შეხედულებით, ნაციის განვითარება სწარმოებს იმავე გზით და იმავე სახით, როგორც—ქვეყნის ეკონომიური განვითარება. როგორც აქ პატარა საკუთრება, პატარა წარმოება იყლაპება დიდი საკუთრებისა და დიდი წარმოებისაგან, ისევე პატარა ნაციები ჩაიყლაპება დიდი და ძლიერი ნაციებისაგან. ასეთი ბედი—თუმცა ფრთხილი სიტყვებით—კაუტკიმ ამ 15-დე წლის წინათ, უწინასწარმეტყველა, სხვათა შორის, ჩეხების ნაციას. იგი ამ სამუშაო პერსპექტივის განქვერტას ჩეხებს უადვილებდა ასეთი სიტყვებით: „მაგრამ ჩეხებს შეუძლიანთ ინუგემონ თავი, რადგან ასეთივე ბედი ელის იმათზე უფრო დიდ ნაციებსაც.“*) მარა ამ დროს განმავლობაში ჩეხების ნაცია არანც თუ უკან არ წასულა, არ დასუსტებულა და მას არ გამოუჩენია ტენდენცია ძლიერ ნაციაში (ნემცებში) გასაღსება; არამედ, პირიქით, იგი უფრო გაღნინერდა, უფრო ამაღლდა და კვლავ საოცარის სისწრაფით ვითარდება. ამ ფაქტის წინაშე, რსაკვირველია, თვითონ კაუტკიც თავს იხრის, მაგრამ იგი მაინც ისევ თავის აზრზე დავს. ამ ოკტა ხანში გამოსულ თავის ახალ ნაწარმოებში-ნაციონალურ სკიპის შესახებ—კაუტკი ხელუხლებლოთ სიტყვით თავის მითავი შეხედულებას (l' idee metresse).

იმის დავგვართ—სწერს იგი—როგორც ხალხთა შორის ვითარდება ეკონომიური ურთიერთობანი, ნაციონალური კულტურა აშკარათ იღებს ინტერნაციონალურ ხასიათს. უკვე დღეს აღარ არსებობს წმინდა ნაციონალური კულტურა. კულტურის მხრივ დღეს უკვე მთელი ქვეყნიერობა იყუა სამ დიდ სამფლობელოთ; ცენია: ქრისტიანული კულტურული სამფლობელო, სადაც შედის თითქმის 600 მილიონი წვერი, ისლამური—250 მილ. წვერი, ბრამინული და მისი მონათესავე ბუდისტური—თითქმის 700 მილიონი წვერი; თვითოველი კულ-

*) იხ. Национальность нашего времени, გვ. 41. ან პართული გამოცემა „ჩვენნი დროის ეროვნება“ გვ. 62-3.

ტურული სამფლობელო შეიცავს მრავალ სხვა და სხვა ნაწილებს და ნებს. მაგრამ, რასაკვირველია, აქ არ ჩერდება განვითარება. კაპიტალისტური წეს-რიგი წარმოებისა ყველგან აღწევს გაბატონებას „მ ნიადაგზე ეს სამი დიდი კულტურული სამფლობელო ხდება ეკონომიურათ ერთიანი სამფლობელო, რომელსაც მოვარება საერთო კულტურა; ნაციათა და კულტურულ სამფლობელოთა შორის სახლები სულ უფრო და უფრო ქრება. აქედან უფრო ცხოველდება საქიროება არსებობდეს ერთიანი საქვეყნიერება ენა.“²⁾ დღეს ჩვენა გვაქვს სამი საქვეყნიერობა ენა—ფრანგული, გერმანული და ინგლისური. (საერთო აზრია, რომ ვისაც უნდა ნამდვილათ განათლებული დამიანი იყოს, მან უტკველათ ერთ-ერთი აქ დასახლებული ენა მაინც უნდა იცოდეს). მომავალში შესაძლებელია ამ სამ ენას კიდევ მეოთხეც მიემატოს, მაგალითათ რუსული ენა. მარა ეს იქნება დროებითი მოვლენა. ბოლოს და ბოლოს გამარჯვება უნდა დარჩეს ერთ-ერთს, ე. ი. ერთი საქვეყნიერება ენა გადარჩევა უნივერსალურ, მსოფლიო ენათ. კაუტსკი ფიქრობს, რომ ასეთი უპირატესობა წილათ ხედება ინგლისურ ენას, რადგან ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი ყველაზე უფრო მეტთ იზრდება. ასე მაგ. ვასულ საუკუნის დასაწყისში საქვეყნიერებო ენებზე მოლაპარაკეთა რიცხვი იყო: ფრანგულზე—დაახლოვებთ 30 მილიონი, ამდენივე გერმანულზე; ინგლისურზე—20 მილიონზე ცოტა მეტი; დღეს კი თითქმის: ფრანგულათ მოლაპარაკე—40 მილიონზე ცოტა მეტი, გერმანულათ—70 მილიონზე მეტი, ხოლო ინგლისურ ენაზე უკვე 125 მილიონი ლაპარაკობს. მსოფლიო ენის წარმოშობა განხორციელდება, რასაკვირველია, მხოლოთ სოციალიზმის დროს. მხოლოთ სოციალიზმის დროს შეიძლება ხალხის მასსა შეისწავლოს ერთ-ერთი საქვეყნიერებო ენა და მით მაშინ უსარგებლო გახდება ყველა სხვა ენები. ჯერ გაქრება პატარა ნაციების სამშობლო ენები, მერე მოხდება, მერე უფრო დიდ ნაციების ენები და ასე ბოლომდის, ვიდრე მთელი კაცობრიობა ალაპარაკდებოდეს მხოლოთ ერთ ენაზე.

ასეთია კაუტსკის შეხედულება. აქ ბევრი რამ არის მართალი, მარა დღეა აზრი თუ შემაღლი არის. კაუტსკი სამართლიანათ აღნიშნავს ნაციათა გავითარების ტენდენციას, მარა იგი თითქმის სრულიად იგნორებს, ან სათანადო ანგარიშს არ უწევს მეორე ტენდენციას, რომელიც პირველის მოპირდაპირე და უარმყოფელი მიმდინარეობას; ჩვენ ვამბობთ კაცობრიობის ნაციებათ დიფერენციაციის (გამიჯვან-განაწილების) ტენდენციაზე. თითონ პირველსაც სრულდებილიც არა აქვს ის ხასიათი, რომელიც კაუტსკის წარმოუდგენია. ნამდვილათ სწორეთ „გავითარების“ ტენდენცია აწარმოებს ნაციათა დეფერენციაციას. აგსნათ.

კაპიტალიზმის განვითარებამ, რასაკვირველია, თან მოიტანა ის ფრიალ თვალსაჩინო შედეგი, რომ სხვა და სხვა ქვეყნები და ნაციები ერთმანეთზე გადაება და

შეიძროთ შეკავშირდა. დღეს ძნელათ იპოვება ისეთი ქვეყანა, რომ ყველა თავის მოთხოვნილებებს თვითონვე, საკუთარის ნაწარმოებთი იკმაყოფილებდეს. ზოგიერთი მათგანი—და საკმაოთ განვითარებული დ მიღარი ქვეყნები—უცხოეთიდან იღებენ არა მარტო დასამუშავებელ, ნედლ მასლას, ანუ მხოლოთ ზოგიერთ წრეებისსათვის საკირო საგნებს, არამედ აგრეთვე ისეთ საგნებსაც, რომელიც ემასწრება ადამიანთა მიუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებას, როგორც მაგ. პური, ხორცეული და სხვა სურსათი-სანაოვაგე. ასეთ პირობებში უერთმანეთობა, ცხადია, სრულიად აუტენელი იქნება. ყველამ იცის, თუ რა აურა-ზაური და დრტყენია გამოიწვია ევროპის სახელმწიფოებში ამ ორი წლის წინათ რუსეთში მომხდარ პოლიტიკურ არეულობამ და საყოველთაო გაფიცვებმა. ევროპის ამ შემთხვევაში, თქმა არ უნდა, რუსეთის ხალხთა ტანჯვა-ვება კი არ აწუხებდა, რუსეთის თვით კ-ნსტიტუციისა და პოლიტიკურ თავისუფლების ბედ-იღბალი კი არ აფიქრებდა, არამედ მხოლოთ თავის საკუთარ ჯიბის ინტერესები, დახანდებულ კაპიტალეზს განადიდება, ჯგეროვან მოგება-საგრებლის ზედშეკვიცთ. დიახ, დღეს იმდენთ უკვე შეიძროა ქვეყნების ეკონომიური ურთი-ერთშორისი დამოკიდებულება, რომ, უკეთუ რაიმე მიზეზითა—მაგ. ევროპის საყოველთაო ომიანობით—საერთაშორისო მიმოსვლა-ურთიერთობა შეწყდებოდა, ეს, აუცილებლათ, გამოიწვევდა მრავალ წარმოებათ თველ დარგების სრულ გაკატრებას, აუარებელ მუშა ხალხის ულუკმაპუროთ დატოვებას, საზარელ სიმშლიობას; ერთი სიტყვით საერთაშორისო ურთიერთობის შეჩერება ქვეყნიერებას თავს დაატყდა ისეთ საშინელ კატასტროფებს, რომლის მსგავსი ჯერ არ ახსოვს კაცობრიობას. ეკონომიურ ასეთ ურთიერთ შორის დამოკიდებულებას ბუნებრივის აუცილებლობით თანა სდევს დამოკიდებულება ცხოვრების აგრეთვე დანარჩენ მხარეებშიც, კულტურულ, იდეურ სფერაშიაც. და რადგან კაპიტალისტური საზოგადოება დაფუძნებულია კონკურენციაზე, მეტაქეობა-ქიშპობაზე, ცხადია, აქ, ბრძოლის ასპარეზზე ერთი მარცხებიან, მეორენი გამარჯვებულნი არებიან. ნაცია, უკეთესათ შეიარაღებული, უკეთეს პირობებში მყოფი, თან და თან უფრო იზრდება და ვითარდება; იგი სწრაფათ ძლიერდება როგორც ნივთიერათ, ისე კულტურულათ. ენა, რომელზედაც ოლაპარაკობს, აუცილებელი იარაღი ხდება ცხოვრების გზის გასაკაფათ და ეს ყოველ ასპარეზზე, როგორც ვაჭრობა-მრეწველობაში, ისე ხელოვნებასა და მეცნიერებაში. ამიტომაც ძლიერი ნაციის ენა მლდათ შემოიღოს პატარა ნაციაში. და თუ ეს უკანასკნელი პოლიტიკურათ დამონებულია, ცხადია, მისთვის გაბატონებულ ნაციის ენას უფრო კიდევ მეტი მნიშვნელობა მიეცება, ვინაიდან სახელმწიფო ენის უცილდინარათთვის დასშული იქნება თითქმის ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებათა კარი. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მამები თავის ბავშვებს აკენიანებენ ჩასჩინებენ: „შვილო, თუ გინდა

²⁾ nation. und Juternationalität გვ. 13.

კაცი გახდეს, ისწავლე ჩვენი „მამა-ბატონების“ ენა“. სამშობლო ენების მნიშვნელობა თანდათან ეცემა და მთხე ლაპარაკი სათაქლოც კი ხდება. აქედან კუტუკი დასკვნის; „მათი (სამშობლო ენების) ხმარება უფრო და უფრო შეიზღუდება, ეს ენები თანდათან იქცევიან მართა, „შინ სამხარ ნიეთათ“ და ბოლოს აქაც დიქტერენ იმავე ადგილს, როგორც უკრიაგს საფერავლოს ძველისძველ ავეჯს, რომელსაც აფსებენ და სათუთათ უფრო-ხილდებიან, მაგრამ არავითარ პრაქტიკულ მნიშვნელობას კი აღარ აძლევენ.“³⁾

მაგრამ, რასაც აქ კუტუკი მომავალი დროისთვის ამბობს, ის დაწინაურებულ ქვეყნებში დღეს უკვე წარსულს ეკუთვნის. იქ პატარა და დამაგრებელი ნაციითა ენებს იძღვნიან და ეკარგული ჰქონდათ პრაქტიკული მნიშვნელობა, რომ სრულიათ გაქრობის პირათ იყვნენ მისული, მაგრამ დღეს უკვე სურათი ერთიანათ შეცვლილია. საქმე ის არის, რომ თუ კაპიტალისტურათ განვითარებულ ქლიერმა ნაციებმა პირველ ხანებში დამოწავეს და საწველი ფურათ გაიხადეს პატარა სუსტი და უკან ჩამორჩენილი ნაციები, შემდეგში მათ ან უკანასკნელთ თვითონვე—თავისდა უნებურათ, რასაკვირველია — მისცეს იარაღი გასანთავისუფლებლათ, საკუთარ ფეხზე დასადგომათ და საკუთარი გზით განსავითარებლათ. მაგ. ავსტრია-უნგრეთში, კაპიტალიზმმა.—შეიძლება ითქვას — მკვდრეთით აღადგინა იქ ჩამწყვეტული პატარა ნაციები. დიან, პატარა და სუსტი ნაციები ბოლოს თვითონვე შესანიშნავათ ანვითარებენ კაპიტალისტურ წარმოებას, და მტკიცეთაც მაგრდებიან ამ ნიადგზე. ამ ერის ბურჟუაზია უცხო კონკურენციის თავიდან მოსაშორებლათ წინ იძღვარებს ნაციონალურ ენას; ასპარგზე გამოსული მუშა ხალხიც ანვითარებს იმავე ენას, რადგან ეს იმისთვის კლასიურ ბრძოლის აუცილებელი იარაღია. რაკი ხალხის მასსა გმებუა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამ მასის ენაც სათანადო ადგილს პოულობს და ბოლოს ბატონობასაც აღწევს როგორც ლიტერატურაში, ისე სკოლისა, სასამართლოს და საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო დაწესებულებებში. აქედან ინტელიგენციისათვისაც; თავისუფალ პროფესიის ხალხისათვისაც, როგორც არიან ჟურნალისტები, მსწავლებლები, ვეჟოლები, ექიმები და სხ. ყველა ამათვის სამშობლო ენა ხდება არსებობის მიუცილებელ საშუალებათ ამსთანვე ერთათ იცვლება საზოგადოებრივი აზრიც სამშობლო ენის შესახებ. ამ ერის აბუჯათ ადგება ენლა უკვე სამარცხვინოთ არის აღიარებული. ესლა მამა თავის ბავშვს ასე შთავაზუნებს: „შვილო, თუ გინდა კაცი გახდეს, კარგათ ისწავლე სამშობლო ენა“. უცხო, გაბატონებულ ნაციის ანუ საქვეყნებრებო ენა იქცევა, აგრე წოდებულ, „საზოგადოების“ შინ სამხარ ენათ. იგი იხმარება კერძო აღმართთა მიზნებისათვის, იმათ ეკრობა-მარწყველობის თუ ხელოვნება-მეცნიერების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ; იგივე ენა ლაყბობა-ლაზღანდარობისა,

არმოიპობისა თუ სხვა რაიმე კერძობისა. ხოლო ვარეთ, საზოგადოებაში, ლიტერატურაში თუ საქირო კრებებზე, ერთი სიტყვით, ყოველ საზოგადოებრივ საქმეში უკვე გამეფებულია სამშობლო, ნაციონალური ენები. ეხლა ის, ვინც წარა-მართა ლაპარაკობს უცხო, გაბატონებულ ნაციის ენაზე, ნასწავლ-განათლებული და ზრდილი ყმაწვილი კი აღარ არის, არამედ, იგია უსულ-გული, ქარაფშუტა ვივინდარა. ხოლო სამშობლო ენაზე წმინდა, რიგიანი ლაპარაკი ეხლა უკვე ნიშანია იმისი, რომ ეს აღმართი ამოვლებულა და განაზილა თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ ბრძოლის ტალღებში.

ყველა ზემო ნათქვამიდან, რასაკვირველია, ის არ გამოდინარგობს, ვითომ დროს განწველობაში იკარგებოდეს გაბატონებულ ნაციითა ენების და საქვეყნებრებო ენების მნიშვნელობა. ჩვენ მხოლოთ იმას აღვნიშნავთ, რომ ამ ენებთან ერთათ იზრდება და ფართოვდება აგრეთვე სამშობლო, ნაციონალურ ენების მნიშვნელობა, და ასე ხდება იმის დაკვალოთ, როგორც იზრდება და ვითარდება დემოკრატია. და რადგან გამაზგავნა ეკუთვნის ამ უკანასკნელს, ცხადია, სოციალისტურ ხანაში ნაციები შეველენ დიდათ განვითარებულ სამშობლო ენების აღკურვილნი. როგორი იქნება შემდეგი მსვლელობა?

სოციალისტურ საზოგადოებაში, თუმცა თვითოეული ნაცია სრული ბატონ-პატრონი იქნება თავის თავისა, მარა ექვს გარეშეა, რომ იგია ამისთვის არ შეიქმება განცალკევებულ და კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას; წინააღმდეგი იქნებოდა მთელ ტენხირსა და კულტურის განვითარებასა. სოციალისტური საზოგადოება მხოლოთ განაგრძობს, განავითარებს იმ პროცესს, რომელიც დღესვე კაპიტალისტურ პირობებშივე სწარმოებს და ნაცია უფრო მკიდრო, განსუკრელი ძაფებით შეუკავშირდება მთელ კაცობრიობას, როგორც ეკონომიურათ, ისე კულტურულათ. მაშასადამე მრავალ ენაშიადა საერთოთ წინ მსვლელობის შემადგურებელი გარემოება იქნება და ერთი მსოფლიო ენის მიღება კი მიუცილებელი საქიროება. და რადგან ბუნებრივით, თავის-თავათ არ იზადება მსოფლიო ენა (ან არსებულ საქვეყნებრებო ენების რიცხვს — ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს — არა თუ არ აკლდება, კიდევ ემატება ახალი ენები. ხოლო საქვეყნებრებო ენების გვერდით ვითარდებიან აგრეთვე ნაციონალური ენები). (ცხადია სოციალისტური საზოგადოებანი იძულებული გახდებიან ცნობიერათ ჩაერთონ საკითხის გადაწყვეტაში. მაგრამ შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, ვითომ ერთ მშვენიერ დღეს სოციალისტურ საზოგადოებათა საერთაშორისო კონგრესი გამოიტანდეს დეკრეტს, რომლის ძალითაც ერთ-ერთ ნაციის ენა (ის მაგ. რომლის მოკლენ აღმოჩნდება კაცობრიობის უმრავლესობა) მიღებულ იქნებოდეს მსოფლიო და საყოველთაო ენათ, ხოლო დანარჩენთა სამშობლო ენების ხმარება კი აიკრძალებოდეს. ასეთი დეკრეტი უპეველათ გამოიწვევდა ხალხთა კანონიერ ნაციონალური თავმოყვარობის აღშუთებას; რაიც სათავეშივე

³⁾ Национальность нашего времени გვ. 42.

ჩაკლავდა საქმის განხორციელებას. ჩვენის აზრით, მსოფლიო ენათ მიღებულ იქნება არა ამა თუ იმ ნაციის ენა, არამედ, ასე ვთქვათ ნეიტრალური ენა, ე. ი. რომელიც არ ეკუთვნის არც ერთ ნაციას. ასეთია მაგ. უკვე დღეს არსებული, საერთაშორისო ენათ წოდებული „ესპერანტო“. საგულისხმოა, რომ ამ ენაზე მოლაპარაკება რიცხვი უკვე დღესვე, შეუქმნევლათ, მაგრამ შეუჩერებლათ, მრავალმა ყველა სახელმწიფოებმა და ყველა ნაციებში.*) საგულისხმოა ისიც, რომ გერმანიის სოც.-დემოკრატიის ზოგიერთ წრეებში უკვე დღესვე აზრათ აქვთ აღძრან საკითხი იმის შესახებ, რომ ეს ენა მიღებულ იქნას სოციალისტურ პარტიების საერთაშორისო კონგრესებისთვის, რადგან სამ-ოთხ ენაზე თათბირი ძალიან აფერხებს კონგრესების მუშაობას. ზოგიერთი დიპლომატები და პოლიტიკოსებიც ასევე ფიქრობენ გამოიყენონ „ესპერანტო“. მაგრამ ექვს გარეშეა, რომ ეს ენა მსოფლიო ენათ გადაიქცევა—თუ კი ასეთ „ბედნიერ ვარსკვლავზე“ დაბადებული—მხოლოდ სოციალიზმის განხორციელების შემდეგ. სოციალისტურ საზოგადოებათა მსოფლიო ენა, ვარდა წმინდა საერთაშორისო დანიშნულებისა, შესაძლებლად აგრეთვე სამშობლო ენის ზოგიერთ—და მხოლოდ ზოგიერთ—ფუნქციებს. ასე მაგ. თუ დღეს რაიმე ახალი აღმოჩენა ან განსაკუთრებულათ შესანიშნავი ნაწარმოები ხელოვნებისა თუ მეცნიერების სფერაში აუცილებლათ ითარგმნება ნაციონალურ ენებზე, მაშინ ეს თარგმნა საქირა აღარ იქნება, რადგან ყველა განსაკუთრებულათ შესანიშნავი ნაწარმოები თუ ავტორებისაგანვე დაწერილი იქნება მსოფლიო ენაზე და ეს კი ყველა ნაციების ყველა ადამიანებს ეკოდინებათ. სამშობლო ენათ ხმარების სფერა, რასაკვირველია, შემცირდება. ვერც ერთი ნაციონალური ენა ვეღარ გასიკვდება თით ნაციის საზღვრებს, ე. ი. იმ ადამიანთა წრეს, ვისთვისაც იგი შეადგენს სამშობლო ენას. ეს კვლავ იქცევა ჩვეულებრივ, შინ სახმარ ენათ. სამშობლო ენა იქნება უმთავრესათ ადამიანთა ესტეტიკურ მოთხოვნილების, მრავალფეროვანება-სხვა-და-სხვაობისადმი მისწრაფების დამამკაცოფილებელი. მსოფლიო ენა კი იქნება უმთავრესათ საშუალება წინმსვლელობა-განვითარებისათვის.

ამ გვარათ, მომავალი, სოციალისტური კაცობრიობა ილაპარაკებს მრავალ ენაზე, ხოლო თვითველ ნაციას კი ექნება მხოლოდ ორი ენა: მსოფლიო და სამშობლო ენა.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ოდესმე სამშობლო ენები სრულიად მოისპო კიდევ და მთელ კაცობრიობას ერთათ-ერთი მსოფლიო ენადა შერჩა. ასეთი პერსპექტივის განხორციელება მაინც კიდევ არა ნიშნავს ნაციათა მოსპობას და მთელ კაცობრიობის ერთ ნაციათ გადაქცევას. მითხველმა უკვე იცის, რომ, ჩვენის შეხედულებით, ენა

სრულებითაც არ შეადგენს ნაციის არსებას; ნაციის გაა მომქმედია ნაციონალური კულტურა, რომლის მხოლოდ ერთ ნატეს წარმოადგენს ნაციონალური ენა, მარა კულტუის აზრით როგორც უკვე აღვნიშნეთ — სოციალიზმის დროს კაცობრიობის კულტურასაც აღარ ექნება ნაციონალური სანახაობა, და ეს პროცესი ნაციათა კულტურულ გაერთიანებას უკვე დღესდავე, კაცობრიობის პირაობებში თვალსაჩინოად სწავაჩვენებს. ნამდვილათ კი როგორ არის ამ მხრივ საქმე?

ნაციათა კულტურული ურთი-ერთობა რომ ფაქტია, ეს ყველამ იცის და სოციალიზმის დროს რომ ეს ურთი-ერთობა კიდევ უფრო მეტათ განვითარდება, ესეც აშკარა უნდა იყოს ყველასათვის. მაგრამ სახელდობრ რას იძებს ერთი ნაცია მეორისათვის და ან რითი განსხვავდება ერთის კულტურა მეორისაგან? როგორც ცალკე ადამიანს შეუძლიან სთქვას თავის-თავზე: Homo sum, et nihil humani a me alienum puto (შე ადამიანი ვარ და არაფერი, რაც კი ადამიანობას ტება, არ არის ჩემთვის უცხო), სწორეთ ასევე მთელ ნაციასაც შეუძლიან სთქვას თავის თავზე, რომ არაფერი, რაც კი სხვა ნაციებს მოეპოებათ, არ არის მისთვის უცხო ან მიუწოდომელი, განვითარების შესაფერ საფეხურზე. ყველა ნაციები ერთმანეთს ჰგვანან განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე. სოციალიზმის დროს ნაციები უეჭველია ერთი მეორეს გაუთანასწორდებიან კულტურული დონით; **არსებითად** ყველგან იქნება ერთი და იგივე საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ერთი და იგივე ტენიკა, მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია; ნაციები ერთმანეთს გაუთანასწორდებიან კულტურის **შინაარსით**. მაგრამ როგორც ერთი ნაციის ცალკე ადამიანთა გათანასწორება სწავლა-ცოდნით და აღზრდა-განათლებლით არა ნიშნავს მათს ინდივიდუალობის მოსპობას, სწორეთ ასევე ნაციათა გათანასწორება კულტურის მატერიალურ შინაარსის მხრივ არ მოასწავებს მათ სხვა და სხვაობის მოსპობას. ეს აზრი შეიძლება ნათელ-ვკოთ წარსულის მაგალითით. გეკოდინებთ, რომ შეუერთმეტე საუკუნის დამლევიდან, ვიდრე მოწვოლების შემოხვევამდე, მეცამეტე საუკუნის პირველ მეოთხედამდე, ქართველობამ განიცადა კულტურულ განვითარების განსაკუთრებული ხანა. მრავალ უცხო ენების ცოდნა და ამ ენებზე ლიტერატურის შესწავლა აუცილებელი პირობა იყო ქართულ სწავლა-აღზრდისა. უცხო ენებზე ლაპარაკობენ და სწერენ მეფეთა სასახლებშიაც. ასე მეფე დიმიტრის, დავითის შვილს, მიწერა-მოწერა ჰქონდა არაბულ და სირიულ ენებზე; თფილისში იმყოფებოდა უმაღლესი სასწავლებელი; აქვე, ჩვენი ქვეყნის სატახტო ქალაქში, თავს იყრიდნენ სხვა და სხვა ქვეყნებისა და ნაციების სწავლულნი და პოეტები;⁵⁾ ერთი სიტყვით, საქართველო მაშინ განიცდიდა უცხო ნაციების კულტურის ძლიერ ზეგავლენას. მაგრამ სწორეთ ამ ხანაში ქართველი ნაციონალური სახე უფრო მკაფიოთ ჩამოკალიბდა, სწორეთ ამ დროსვე ჩვენი ნაციონალური

*) ამას წინათ მოსული ცნობით ამ ენაზე გადაუთარგმნიათ ბან სუბმათაშვილის ცნობილი პიესა „ლატატი“ და მალე ითამაშებენ პარიის ერთ-ერთ სცენაზე.

⁵⁾ იხ. სხვათა შორის პროფ. მარის „Исторія Грузія“.

ტრონი ხელზე მოსამსახურე დარსაველიძე, დარსაველიძე თითქმის წელიწად-ნახევარია, რაც ქსენონში მსახურებს იმავე ექიმთან და დღემდის კეთილსინდისიერათ და ერთგულათ ასრულებდა თავის მოვალეობას. ამ ბოლო დროს ექიმმა, როცა მას ერთი მესაიღუმლე მოსამსახურე დაამორეს, ათეულწუნა ყველა დანარჩენი მოსამსახურეები და ჯერჯერობით მისი მსხვერპლი გახდა სენებელი დარსაველიძე“.

რ უ ს ე თ ი .

— სიკვდილთ დასაჯეს: სევასტოპოლში.—ერთი (ლიტვიჩენკო, რომელმაც ესროლა გენ. დუმბაძეს ყუმბარა); ოდესაში—ორი (კაპიტანი გლინსკი და გლეხი ნიკიტინი სევასტოპოლის აჯანყების მონაწილენი), მინსკში—ერთი, ეკატერინოსლავში—სამი, რიგაში—ორი, ვილნოში—ერთი, ოდესაში—ორი, სარატოვში—ერთი.

— სიკვდილთ დასჯა გადუწყვიტეს: ვეტერბურგში—ერთს, რეველში—ოთხს, სარატოვში—სამს, კიევში—რეას, ვილნოში—ორს, პროსკუროკში—ერთს, სამარაში—ორს, ვარშავაში—სამს, ხარკოვში—ოთხს, ეკატერინოსლავში—ორს. (პრეზი“ № № 159—165).

— რიგაში სამხედრო სამართალში მისცეს ოცი კაცი, რომელთაც აბრალდებენ პროპაგანდის გაწვევას ჯარში.

— პიროგოვის ექიმთა საზოგადოების გამგეობამ შარშან მიმართა რუსეთის ყველა საგუბერნიო და სამხზრო ერობებს თხოვნით შეეტყობინებიათ მისთვის სიმშლისა და უქმელობისაგან დაეთრებში აღნიშნულ ავითმყოფთა რიცხვი. გამგეობას მიუღია პასუხი ვიატკის, ნიევეგოროდის, რიაზანის, კოსტრომის, ვორანეის, ორლოვის, უფიმის, ტამბოვის და სიმბირსკის გუბერნიებიდან. მიღებული ცნობები ენება 1903—7 წლ. ეს ცნობები რასაკვირვლია, სრული არაა და არც ყველა მხარეშია შეკრებილი. აღნიშნულ 9 გუბერნიო უქმელობის გამო გამხდარა ავით სახადისა, სურავანდისა, სისხისა და ჰავკურისაგან 1903 წ. 10,498, 1904 წ.—78,054, 1905 წ.—89,651, 1906 წ.—115,679 კაცი. ყველა გუბერნიებში სკარბობს სახადით ავითმყოფთა რიცხვი რაც შეეგება 1907 წ., პირველ სამ თვეს შეტანილია დავითარში სახადით ავადმყოფი—24,800, სურავანდით—39,318 კაცი; სულ სიმშლიისაგან ავადმყოფი ჩაწერილა სამი თვის განმავლობაში 70,520 კ.

— რ. ს. ატაყობინებენ, რომ მწვადეობა დამოკიდებულთა კირგოზებსა და რუს გადასახლებულთა შორის. ამ ცრუ ხანში მოსვლიათ მათ შეტაკება უბრალო საქმის გამო ტურგაის საბაზრო ადგილზე. დაჭრილია ორი კირგოზი, ნაცემია სამი რუსი. კირგოზებმა თვინათ სოფლის რუსი მასწავლებელი კოლდერიოვი გაიტაცეს მიხდორში, დასკრეს მუტელიში სამ ადვილას, მერე მოაბეს ცხენს კულზე და მანამდის არავინეს, სანამ სიკვდილიან არ მოუღო ბოლო მის ტანჯვა-წყალებას.

— დაჯარიმეს ვახუთები: „რუსთია ველომოსტი“

3000 მან., რადგანაც მასში მოთავსებული იყო ლ. ნ. ტოლსტოის წერილი სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ; „გლას ნაროდა“ (ელისავეტგრაღში)—1000 მან., „სარატოვსკი ლისტოკი“—200 მან.; „იუნენია ვედომოსტის“ ნომრებს კონსტიტუცია უყვეს (მოთავსებული იყო ლ. ნ. ტოლსტოის წერილი „არ შემიძლიან ვახუთება“).

— „მოლოდენის ლისტოკის“ ყოფილი რედაქტორი გადასახლეს ორი წლის ვადით ვოლოგდის გუბერნიაში.

— იუზოვკაში, რიკოვის მახლობელ მაღაროებში, კიდევ აფეთქდა გაზი; დაიღუპა სამი მუშა, სამი დაშავებულია.

— იაროსლავში დუნაევის თუთუნის ფაბრიკაში აფეთქდა ქვაბი. მოკლულია კაჩეგარი. 8 მუშა მძიმეთა დაშავებული.

— კალიშევისა და ტურეის შუა ესროლეს ყუმბარა საფოსტო ფურგუნს. მეეტლე და ორი სალდათი მოკლეს. ერთი ჯარისკაცთაგანი დაიჭრა, ფულის წაღება ვერ მოასწრეს.

— რომენის მხარაში ვაძარცვეს სმელიანის ფოშტის განყოფილება; ფოშტის განყოფილების უფროსი და მისი ცლილი ძლიანა ნაცემი.

— ყოფილ დეპუტატ კირიენკოს ბორკილები გაუყარეს და ეტაფით გაგზავნეს ციმბირისკენ.

— კინეშში (კოსტრომის გუბ.) აღმოუჩინათ ს.-დ.-ბის ორგანიზაცია და მათი სიდიულყო სტამბა. დააპატიმრეს 21 კაცი. იპოვეს შრიფტი, გექტოგრაფი და აუთოგრაფი არაღლეარული ლიტერატურა.

— ასტრახანსა, ცარიცინა და მათ მახლობელ ქალაქებში გაჩნდა ხორველა.

— კრემენჩუგში დააპატიმრეს და სამართალში მისცეს ნელოვარის ნაწილის ურიადინკი, რომელმაც გლეხურების ქაშხი გააუპატურა სახლის პატრონის ოთხის წლის ქალი.

— სოფ. ულიანოკაში (ალექსანდროვის მხარა) აღძრულია საქმე ადგილობრივ მივდლის ლ. სოკოლოვის წინააღმდეგ, რომელსაც აბრალდებენ ახლოგაზდა ქალის, მედავითნის მოსამსახურის, გაუჯატიურებას. გამოძიებულთან გამოცხადებულა მეორე ქალი და განუცხადებია, რომ სწინებულ მამამ მეც მოსამსახურეთანა საქმე დამართაო.

— კიევის ნიკოლსკის გარეთ უბნის „მოკავშირეთ“, რიცხვით 40 კაცმა, ღამის 11 ს. მორათეს ყვირილი „უი-დები,“ჩაამტკრიეს კავშირის საჩივის ფანჯრები და დაუწყეს ცემა-ტყემა ეზრავლებს. მერე დაიჭირეს „ცენზორი“ ხიდი, რომელიც აერთებს გარეთ-უბანს კიევიან, დაუწყეს ჩხრეკა და სინჯვა გამოვლენ-გამომვლელი, როგორც ურიებს, ისე რუსებსაც. ბევრი გამოვთხოვა თავის ფულებს. პოლიცია ამხნის განმავლობაში არსდა სჩანდა.

— 6 ივლისს უმაღლესთა დამტკიცებულ იქნა სახელმწიფოს შემოსავალ გასაჯლის ნუსხა, შედგენილი სახელმწიფოს საბჭოს და სახელმწიფოს დუმიის მიერ. აღნიშნულ ნუსხაში 1908 წლ. ნანგარიშეგია შემოსავალი: ჩვეულებრივი—2:386,945,498 მან. და განსა-

კუთრებული რესურსების—194.457.670 მან., სულ—2.581.403.168 მან. სახელმწიფო ვასავალი-ჩვეულებრივი—2.312.251.090 მ., და განსაკუთრებული—269.151.078 მან., სულ—2.581.403.168 მან., ჩვეულებრივი შემოსავალი ვასავალს სჯარბობს 74.694.408 მან.

— 2 ივლისს, ვორონეის საპატიმროში, სისხლის სამართალში მიკემულ ტუსალებმა, რომელთა გადაწყვეტილი ჰქონდათ კატარგა სხვა და სხვა ვადით, დაამტერიეს თავის კამერის კარები და მიესიგნენ კარიდორში მყოფ ზედამხედველ დმიტრიევს; მოუკუმეს პირი, ჩამოსხნეს რევილვერი, გახადეს ფორმის ტანისამოსი, წაათრიეს და კლოზეტში ჩაადგეს. შემდეგ გაემართენ მეორე ზედამხედველ ბორზენკოვსკენ. ტუსალებს უნდოდათ ამასაც ისე მოქცეოდნენ, როგორც დმიტრიევს, მარა ბორზენკოვი აღმოჩნდა ფიზიკურათ ძლიერი და არ დანებდა მათ. ბორზენკოვმა მოახერხა იმათ ხელიდან განთავისუფლება, რის შემდეგ გამოვარდა გარეთ და ალიაკითი ასტეხა, ტუსალებმა რამდენჯერმე ესროლეს რევილვერი, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოარყვეს.

ტუსალები გაიქცენ კანტარაში და დასწყვიტეს ტელეფონის მფეხულები. ამ ხანებში საპატიმროს ეზოში მოგროვდნენ დანარჩენი ზედამხედველები, მათ მიეშველა ერთი რთა სოლდითი, ყაზახები, სტრაჟნიკები და სხვა. რამდენიმე მთავანი შევიდა კარიდორში, სადაც კლოზეტის ფიცრის კვეცილს იქით ელოდებოდნენ მათ. კატორგებში. უკანასკნელთ დიწყეს რევილვერებიდან სროლა, რაზედაც სროლითვე უპასუხეს. როდესაც შესწყვიტეს სროლა აანთეს ლამფები (სროლა მოხდა ბნელ კორიდორში), 4 პატიმარი ნახეს მკვდარი, მათ შორის კოლმიკოვი, რომელსაც ეცვა ზედამხედველ დმიტრიევის ფორმის ტანისამოსი. ერთი ტუსალთავანი დაქრილია. სროლის შემდეგ კლოზეტიდან ამოიყვანეს ზედამხედველი დმიტრიევი, რომელიც აღმოჩნდა დაქრილი და გავზავნე, წითელი ჯვრის სათავთმყოფოში. გაჩხრკეს ყველა კამერები. ერთში იპოვეს ორი რევილვერი, ჩალა, ოთხი ფორთოხლის ოდენა ყუმბარა, და სხვა და სხვა იარაღები. დახოცილნი გავზავნეს საერობო სათავთმყოფოში. ყველა ისინი ახალგაზღვები 25—30 წლ. ოთხიგენი კარგათ იყვენ შეიარაღებულნი (ი. კ.)

ს ა მ ს ლ ი

— **სპარსეთი.** ხეი (ჯულფიდან). მთავრობისა და რევოლიუციონერების შეტაკების შემდეგ მოძრაობა შესწყდა. შეტაკების დროს მოკვდა 8 რევოლიუციონერი, დაიპირეს ავილიობრივი საიდუმლო კომიტეტი თვის არხებით. რუბრესები გრძელდოდა. დაურღმველი ელემენტები გაიხევეს. ქალაქში მყუდროებაა.

— **სალმას.** 9 ივლისს, სალმასის ხოესა და მაქის მმართველათ დანიშნა მაქინის ხანი იქმალუს-სალტანე, მის ბანგნებთ დიპტირეს ხალხის მოძრაობის მეთაურება, რომელნიც საშინლათ დასაჯეს. მემამულეები ძალიან მადლიერი არიან შაჰის გამარჯვებით, მხოლოდ დანარჩენი მსჯობრები კრუ შურიითაა გაჯენილი, მაგრამ დემონსტრაციის გამართვის ვერ ახერხებენ.

— **თიერანი.** „რუსკოე სლოვოს“, „რეჩის“ და „რუსკია ველომოსტის“ ორი კორესპონდენტი, რომელნიც იმყოფებიან თიერანში გუშინ შაჰიმ კერძოთ მიიღო. შაჰიმ დაარწმუნა ისინი, რომ მას სურს დაიკოს კონსტიტუციონალური წყობილება.სპარსეთში, მოიწვიოს ახალი მეჯლისი და ნება მისცეს გადაიღონ მისი და მისი მემკვიდრის ფოტოგრაფიული სურათა.

— თიერანიდან გაქცეული და შამადანში დაქერილი ცნობილი რევოლიუციის მქადაგებელი სეიდ-ჯამალი გარდაიცვალა საყარობილეთში.

— **თავრიზი.** ეხლა გადაქრით შეიძლება ითქვას, რომ თავრიზის პატრონი არიან რევოლიუციონერები. შემდეგ საშინელი ძარცვა-მკვლელობისა, რომლის დროს მთელი უზნები დაცალიდნა და ამოწყდა, თავი იჩინა მოტყუილებამ. ცნობილ რევოლიუციონერისა და ენჯუმენის წვერის ჰაჯი-მეჰტის სახელით მისდის მდიდარ სპარსელებსა და რუსეთის ქვეშევრდომთ ფულის თხოვნის წჯრელობი. ამ მუქარის წერილებს რეაქცია აწვეს რევოლიუციონერებს, მაგრამ სხვა წყაროები კი ამზობს ამის წინააღმდეგ...

ზარბაზნებისა და თოფების სროლა გრძელდება დრო გამოშვებით. 14 ივლისს მეჩეთში კიდევ იკრბებოდა ხალხი. ეწეოდნენ აგიტაციას რეაქციის მომხრეთა წინააღმდეგ სამთვლო ომის დასაწყებით. ქალაქის ახლო მახლო გზებში ყოველ შემუშებულთა მიმასკლა, მგზავრებს სტარცვავენ და ჰკლავენ. ამ დღეებში სათარხანს მოუვიდა მაშველი რაზმი 150 კაცისგან შემდგარი. ეს რაზმი ქმლაქში შევიდა ნაწილ-ნაწილათ 3—4 კაცი, ეხლა მთელი უზნები ბარიკადებითაა მოკული. რეაქცია არაა კმაყოფილი თავის მოქმედებით. რაზმი-ხანს და სხვებს, როგორც არ უნდა დამალონ, აღარ აქეთ წინანდელი რწმენა თავის ძალისა.

ო ს ქ ა ლ ე თ ი.

ახალგაზდა ოსმალთა დეკლარაცია. გაზეთებში გამოქვეყნებულია ოტტომანის იმპერიის ოპოზიციონალურ პარტიების სიგზდის დეკლარაცია. ეს სიგზდი მოხდა წარსულ წელს დეკემბერში. მასში მონაწილეობას იღებდნენ ოსმალეთის კავშირის და პროგრესის კომიტეტი, სოზმის რევოლიუციონერი ფედერაცია (დაშაქტუტუნი), ოტომანის კერძო ინიტიაციის დეცენტრალიზაციის და კონსტიტუციის ლოგა, ენბრავთა ეგვიპტის კომიტეტი, რედაქცია „Khilafet“ (არაბების ორგანო), რედაქცია „Razmi“, რედაქცია „Haimenik“ და კომიტეტი Ahd Osmanli.

დეკლარაცია იწყება სასტიკი ვაკიცხვით როგორც აბდულ-ჰამიდის რეჟიმის ის თეთი სულთანისა, რომელმაც აიკლო, გააღატაკა, შეგარცხინა და ტერიტორიალურათ შეემტირა იმპერია.

შემდეგ დეკლარაცია აღნიშნავს, რომ თუ სულთანის რეჟიმე ვაგრძელდა, მაშინ იმპერია დაირღვევა და მას ხელს ჩაავლებენ სხვა სახელმწიფოებია.

მარტო რეჟიმის დაუყოვნებლივ შეცვლას შეუძლია შეაფერხოს კატასტროფა და იმპერიის დანაწილება. სიგზდი ამიტომ მოითხოვს:

- 1) სულთან აბდულ-ჰამიდის გადაყენებას;
- 2) ეხლანდელ რეჟიმის რადიკალურათ შეცვლას;
- 3) წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის შემოღებას.

ამ მიზნების მისაღწევათ სიეზი აცხადებს შემდეგ საშუალებებს:

- 1) შეიარაღებული წინააღმდეგობა მთავრობის ყოველ განკარგულებას;
- 2) წინააღმდეგობის გაწევა პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვების სახით; გაფიცვა ჩინოფნიკების, პოლიციის და სხვა.
- 3) გადასახადებზე უარის თქმა;
- 4) პროპაგანდა ჯარში;
- 5) საერთო აჯანყება და სხვა და სხვა საშუალებები პირობების დავგვრათ ნაკარანხევი.

ოსმალეთის კონსტიტუცია. ოსმალეთში აღდგენილ იქნა 1876 წლის კონსტიტუცია, რომელიც არ იყო კანონით გაუქმებული დღემდე, თუმცა საქმით კი ერთ წელზე ნაკლები იარსება. აი კონსტიტუციის შინაარსი:

ოტომანის იმპერიის ერთიანობა და განუყოფლობა, სულთანის უპასუხისმგებლობა და ხელშეუხებლობა; სულთანს ისეთივე უფლება აქვს, როგორიც აქვთ ევროპის კონსტიტუციონალურ ხელმწიფეებს; პირად თავისუფლების უზრუნველყოფა; სახელმწიფო სარწმუნოებთ გამოცხადებულია ისლამი, მაგრამ ყველა ცნობილ სარწმუნოებას უფლება ეძლევა შეასრულოს თავისი კულტი (სარწმუნოებრივი წესი) თავისუფლათ; ბეჭედისა და კრების თავისუფლება; პეტეციის უფლება; იმპერიის ყველა ქვეშევრდომთა თანასწორობა კანონის წინაშე. პარლამენტი შესდგება ორი პალატისაგან: სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან; ორივე პალატა ყოველ წელს პირველ ნოემბერს უნდა იქმნეს მოწვეული. თითო დეპუტატებს, თითო კაცს ყოველ 100 ათას მკხოვრებისაგან, ირჩევენ ფარული კენჭის ყრთი 4 წლის ვადით. თუ პალატა დამხობილ იქნა, ახლათ ირჩეული პალატა მოწვეულ უნდა იქმნას არა უგვიანეს 6 თვისა დამხობის შემდეგ.

მოსამართლეებს ვერაფერს გადააყენებს; სასამართლოებში ხალხის თანდასწრებით არჩევენ საქმეს. ბიუჯეტი შეტანილ უნდა იქმნას პარლამენტის სესიის დაწყების უბალ და მტკიცდება მხოლოდ ერთი წლის ვადით. საკონტროლო პალატა, რომლის წევრებს ვერაფერს გადააყენებს, ყოველ წელს წარუდგენს დეპუტატთა პალატას ბიუჯეტის ასრულების შესახებ ანგარიშს, ყოველ სამ თვეში კი სულთანს წარუდგენს მოხსენებას ფინანსთა მდგომარეობის შესახებ. შემოღებულია ადგილობრივი თვითმართელობა და ადგილობრივ საქმეებს განაგებენ ხალხის მიერ არჩეული ადგილობრივი საბჭოები. პირველ დაწყებითი სწავლა სავალდებულოა ყველასათვის.

სტამბოლი. გუშინ ნაშუადღევს ილიზის წინ გაიმართა უზარ-მასზარი დემონსტრაცია. დემონსტრაციაში ათათასობით იღებდნენ მონაწილეობას; დემონსტრატები ატარებდნენ დროშებს შემდეგი ზენაწერით: „გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს კონსტიტუციას! კაცებით და ოსმალის ქალებით გაქედილი იყო ქუჩები. ისინი აღფრთოვანებულნი საღამოს აღედგნენ დემონსტრანტებს. ცენზურის მოსპობამ და უკანასკნელმა პოლიტიკურმა ამბებმა გამოიწვია ოსმალეთის პრესის აღორძინება. გა-

ზეთების ტირაკი აღწევს წარმოუდგენელ რიცხვს წასულთან შედარებით. ოსმალეთის პრესსა აღფრთოვანებული ეგებება ცენზურისა და საიდუმლო პოლიციის გაუქმებას; არჩევენს დაუყონებლივ და ენერგიულათ შეუღებვიან ყოველგან. პარლამენტი გაიხსნება 1 ნოემბერს.

— ანატოლიდან იტყობინებიან, რომ ხალხი აღფრთოვანებულია; სულთანის ირადეს კითხულობენ ქუჩასა, მოედნებსა და ყავა-ხანებში. ოსმალი, ბერძენი, სომეხი, ებრაელი ერთმანეთს ულოცავენ; შვიარულობენ და პატივობენ. ხალხი ეშხადება არჩევენებისათვის; პარლამენტის გახსნა მოხდება დღის სივით. პარლამენტის გახსნიდან დაიწყება მოჩუხუჩებ ცხოვრება. ხალხის საქირობა უკვე აღინშნულია; საყოველთაო პირველ დაწყებითი განათლება, უმთავრეს ქალაქებში მაღალი სასწავლებლების გახსნა, რკინის გზების გაყენა, ვაჭრობა. მრეწველობის განვითარება, მადნების ექსპლუატაცია და სხვა.

— **სტამბოლი,** გაზეთები იტყობინებიან, რომ გუშინ, როდესაც პოლიტიკურ-ადმინისტრატულ პატიმრებს ანთავისუფლებდნენ ცენტრალური საპრობილიდან სისხლის სამართლის პატიმრებმაც მითხოზოვეს განთავისუფლება და ხელს უშლიდნენ პოლიტიკურების გასვლას, დღი ვეზირის ჩარევით საქმე მშვიდობიანათ ვათავდა. სისხლის ღერა არ მომხდარა.

— განათავისუფლეს 166 კაცი პოლიტიკური პატიმარი, ამათ რიცხვში სამხებეც ურევია.



ზღვის პირას მოლოდინში, ქანდაკება, უირარდისა

ზირველ სსსელ. ღუმის დეპუტატ. გასაშარღლება.*)

30 ივნისს პეტეტბურგის სამოსაშართლო პალატამ გაარჩია 1-ლი სახელმწიფო ღუმის ცხრა დეპუტატის საქმე, რომელნიც, სხვა და სხვა მიზეზების გამო დეკემბრის პროცესის დროს ეობორგის მოწოდების შედგენისა და ხელის მოწირვისათვის, გამოჰყვეს ცალკე კვლევათ.

სხლომა დაიწყო დღისთ 11 1/2 საათზე. ცხრა ბრალდებულთაგან გამოცხადდა შვიდი: პროფ. ლ. ი. პეტრაჟიცი, ა. დ. აივაზოვი და ე. გ. შოლპი (კადეტებია), ი. დ. ბიჩკოვი და ს. ტ. ტუმბუსოვი (შრომის ჯგუფის წევრები); ი. გ. გომართელი და ა. ი. სმირნოვი (ს.-დ.). უკანასკნელი 8 თვეზე მეტია, რაც კოსტრომის გუბერნატორის განკარგულებით ციხეში იყო დაპატიმრებული. სასამართლოში მოიყვანეს ის საპატიმროდან.

ორი, ეროლოვეი და შუვალოვი, ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდნენ. ამათი საქმე ცალკე გამოჰყვეს.

ბრალდებულთ იცავდნენ გრუზენბერგი, ვეისმანი, ბულატი, გუსევიჩი და ოვისანიკოვი.

წაითხრულ იქნა საბრალდებულთ აქტი, საიდანაც სჩანს, რომ არც ერთი არ უარყოფს მოწოდებაზე ხელის მოწერას; მის გავრცელებაზე კი ყველანი უარს აცხადებენ.

აქტის წაითხვის შემდეგ თავმჯდომარის შეკითხვაზე —სცნობენ თუ არა ბრალდებულნი თავის-თავს დამნაშავეთ—ყველანი უარყოფით უბასუბებენ; ბიჩკოვმა ამისთანავე დაუმატა, რომ ის ასრულებდა მის გამგზავნულ ხალხის ნებას და სურვილს.

ამის შემდეგ გამოჰკითხეს მოწმეებს. მოწმე სტახოვიჩი აცხადებს, რომ როდესაც ის მივიდა ეობორგში სახელმწიფო ღუმის ერთი ჯგუფის დავალებით, საერთო სხლომა უკვე ეთავებულებოდა იყო. დეპუტატები ფრაქციებათ იყვენ დაყოფილი და, უშთავრესათ, სჯა-ბაასი ჰქონდათ მოწოდების მეორე ნახევარზე. კადეტების უმრავლესობა მეორე ნახევარის წინააღმდეგი იყო. სხვათა შორის იმის წინააღმდეგ ილაპარაკა პროფ. ლ. ი. პეტრაჟიციმ. მოხდა საერთო კრება, რომელზედაც თავ. დოლგოპრუკოვმა გამოცხადდა ფინლიანდის გენ.-გუბ. მიწერილობა, თუ ვინიცომაა დეპუტატები არ წაუღწენ ეობორგიდან, ის შემოიღებს კლაქში საშხედრო წესებსო. ვინავერამ მისცა წინადადება კრებას წასულიყვენ შვეიციაში. პეტრუნკევიჩი არჩევდა მიელა კრებას მოწოდება, მხოლოთ მის საბოლოო რედაქცია მიენდო განსაკუთრებულ კომიტეტისთვის. უკანასკნელი წინადადება მიღებულ იქნა, თუმცა პეტრაჟიციმ და სხვებმა ილაპარაკეს კიდევ მოწოდების მეორე ნახევარის წინააღმდეგ.

უმრავლესობამ მიიღო მოწოდება მეორე ნახევრით. მას ხელი მოაწერა ბევრმა იმათგანმა, ვინც მის წინააღმდეგი იყო.

ვეისმანის შეკითხვაზე მოწმემ განაცხადა, რომ ეობორგში მოწოდების გავრცელების შესახებ მას არაფერი

გაუგია. დანარჩენ შეკითხვებიდან გამოორკვა, რომ მოწოდების პროექტის განხილვა კიდევ უნდოდათ, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს.

სტახოვიჩის გამოკითხვის შემდეგ, ნაფ. ვექ. ბულატი აცხადებს ტრუდოვიცების მხრივ, რომ მათ გადაწყვიტეს მოწმეების გამოკითხვაში და სამოსაშართლო გამოძიებაში მონაწილეობა არ მიიღონ. ტრუდოვიცებისავე ფრაქციის სახელით ბრალდებული ტუმბუსოვი აცხადებს, რომ ყველამ მათ (50 კაც.) მოაწერეს ხელი მოწოდებას, რადგან სცნობდნენ მას მიზნის შესაფერისათ. თუ ზოგიერთი ტრუდოვიცები პროტესტს აცხადებდნენ, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ტონი მოწოდებისა და მისგან აღიარებული საშუალებებით მიჩანდათ ძალიან სუსტიათ. დანარჩენში ბრალდებულთ-ტრუდოვიცები უერთდებოდათ თავის ამხანაგების ნათქვამს დეკემბრის პროცესის დროს.

მეორე ტრუდოვიცი, გლეხი ბიჩკოვი, აცხადებს, რომ იძულებული იყო ხელი მოეწერა მოწოდებისათვის იმ ნაკაზის ძალით, რომელიც მისცეს მას გლეხებმა და ავალდებდნენ მას დუმში მოეთხოვა მიწა და თავისუფლება. მშვიერისა და ნახვართის ჩაუტყველ გლეხების წარმომადგენელს არ შეეძლო სხვა ნაირათ მოქცეულიყო.

იურიდიულ დაცვაზე უარს აცხადებს ს.-დ. ფრაქციის ბრალდებულთა მხრივ ნაფ. ვექ. თანაშემწე ოვისანიკოვი. პროკურორის ამხ. მხარს უჭერს ბრალდებას შთლათ.

ამის შემდეგ ნაფ. ვექ. გრუზენბერგმა მისცა კითხვა მსასამართლოებს:

—მართლა თქვენ, როგორც ამას პროკურორი ამბობს, დღეს არა გაქვთ გასარჩევი საქმე?

მართლა თქვენ იმისთვის ხომ არ შეიკრიბენით, რომ დაასოთ ბექედი წინადადეგ განმზადებულ განაჩენს, რომელიც წარმოადგენს მხოლოთ დეკემბრის პეტრებურგის სამოსაშართლო პალატის განაჩენის პირს.

მე არ მინდა ეს დავიჯერო, რადგან ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს ჩემი სამართლისადმი პატივისცემის გრძნობა.

მე მოვედი აქ იმისთვის კი არა, რა გავეჯიბრო ბ-ნ პროკურორს ბრალდებულთა პოლიტიკურ მოქმედების დაფასებაში. დეპუტეტების პოლიტ. მოქმედება სასამართლოს დაფასების გარეშე იმყოფება. ის მასზე მაღლა დგას.

იმ დიად ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდნენ ხალხის წარმომადგენლები მთავრობასთან ხალხის თავისუფლებისათვის, უკანასკნელი სიტყვა არ ეკუთვნის არც პროკურორს, არც მსასამართლოებს, არამედ—მხოლოთ ხალხს—მარტო იმას. ამას დამნაშავეთ არ უცნებია თავისი არჩეულინი. ის არა სთვლის მათ დიდებულთ საქმის მოღალატეთ. ხალხმა იცის, რომ იღებების ფარგლებში, ახალი საუკეთესო ფორმების დამყარებაში შეუძლებელია საშუალო დამარცხება,—არის ხოლომე მარტო დროებით შეჩერება. ხალხმა ეს იცის და ღრმათაღ დარწმუნებულია, რომ ის დიდი მიზნები, რომელიც დაისახა პირველმა დუმმა, უქვევლათ და ძალიან ჩქარაც განხორციელდება.

*) ამ წერილის დაბეჭდა დაგვიანდა. რედ.

არა, მე, არც იღებებზე, არც იმ დიად მოვალეობაზე, რომელიც იწვევს ხალხს შეურიგებელ ბრძოლისაკენ, მანამდის სამბოლოთ არ განიმაჯგევს ის, არ მინდა თქვენთან ლაპარაკი მსაჯულნი!

გარუზენბერგმა თავისი სიტყვა დაათავა შემდეგით: „მე თავს ვიხრი მათი ტანჯვის მშვენიერების წინაშე. მე ვაფასებ შესაფერისათ მათ აღფრთოვანებას, მარა მაინც მგონია, რომ მათი გამმეღვი და ძლიერი ცხოვრებიდან სრულიად არა ღირს ამოვგლიჯოთ ტყუილ-უბრალოთ სამი თვე ციხეში სამყოფათ, როდესაც ეს დრო შეიძლება მოხმარდეს—შეუდარებლათ უკეთესს საქმეს“.

სალამოს 7 ს. გიმოაცხადს განაჩენი, რომელიც თითქმის განმეორებაა დეკემბრის საქმის განაჩენისა.

ყველა ბრალდებულნი იცნეს დამნაშავეთ და მიუხაჯეს სამ-სამი თვით დაპატიმრება.

* *

ადამის ძეო, თავისუფლათ შექმნილ-აღზრდილო, შენთვის ხუნდები, ბორკილები რათ გამოსქედეს? რათ, რათ მოვისპეს შენს ნებაზე ვარე ვეარდი, და „ცხრა-კლიტულში“, ვალიაში რისთვის ჩაგქედეს?! ეგებ, ქაბუჯო, ვერ შეეწყე ლუქიერ ცხოვრებას: მდიდარს მოსტაცე, იყაილე, კაცს არ ინდობდი? ან მყუდროება დაურღვიე ვინმე ბობოლას უხუცი ქცევით, სითამაით არვის რილობდი?! ან იქნებ ძმა ძმის ვადაპილე, ულაპატევი, რომ მხოლოთ შენთვის მოგხეცებო ბედნიერება; სხვები ატირე, შენ კი შორით იღიმებოდი,— გულს ვიხარებდა მათი ტანჯვა, მოძმეთა ვნება?! ან თუ სატრფოსგან დაიფარულმა შური იძიე: კაცი იმსხვერპლე, სახიზრობა რამ ჩაიდინე; მოკალ „მეტოქე“, დაარბი შეყვარებულნი და იმათ კერას, თავ-შესაფარს ბღღვირი აღინე?! მაგრამ, რას ვამბობ! შენ ხომ შრომის მძიმე უღელი კისერზე გეღო, ეწყვიდი ქაბან-წყვეტითა?— ყველას მონურათ ქედს უხრიდი, ფხვთ ეგებოდი, უხმოთ იტანდი, თუნდ ეცემათ კიდვე კეტითა!.. შენ ხომ ვერ გრძნობდი ცხოვრებისა უსამართლებას, როგორ გაძარცვოდენ, ტყავს გაძრობდენ ემა ზურგზედა? არც ის იცოდი—შენის ოფლით ვინა ხარობდა, მხოლოდ შრომობდი... ჯანსა ცვეთილ ლუქმა-პურზედა... სატრფოს აღერსი?—ეგ ხომ შენთვის მოჩენებაა! ვინ გიკადრებდა, ძმაო, მუშას მუდამ გამოურულს?! ვინ იყო გიცი, რომ შენთვისა ეთქვა: „მიყვარხარ“, განა ქალს შენებრ „უბედური“ აუტოკებს გულს?! მაშ, რა მიზნით დაგატყვევეს, დაგასაპყარეს,— ბნელ საკანშია რისთვის მოგცეს ქაბუჯსა ბინა? იმიტომ, რომა ვერ გაუძლდ უღფთო შრომისა, ტანჯულმა გულმა ერთხელ მწარეთ ამოიგმინა?!

ეს, შრომის შეილო, მონაე ფულის, მონაე კაცისა, შენ არც კი უწყვი, შენს ცხოვრებას თუ ვინა მართავს! დროა, დაფიქრდი, დაუკვირდი ვაგლახ ყოფასა: როდემდის გინდა მონათ იყვე? —ჰკითხე შენსა თავს...

ალ. გერასიმოვი.



დ ე ღ ე ბ ი

(მოთხრობა).

I.

გაციაგებული დილა იყო. ღრუბლები მისცურავდა ცაზე, რომელიც აქა-იქ ლაყვარდ ზოლებად დასერილიყო. დრო და დრო მზე გამოიქიატებდა, მაგრამ ისევ მალე იძალებოდა ღრუბლებში. ბუნებას უნდოდა ცრემლებათ დაღვრილიყო, მაგრამ თითქო რიდასიც რცხვენინაო, ვერ ბედავდა.

ქალაქი ჩვეულებრივად ხმაურობდა, ღელავდა, ქუჩები ხალხით ავსილიყო. დესიკო მიდიოდა ქვეფენილზე წყნარათ. გახუნებულ მოსასხამის კალთებს მალმალ წინა სწევდა, თითქო ცდილობდა მთელი თავისი არსება მოსახანში ჩაემაღა. დესიკოს მიმზიდველი, გამხდარი სხე მოქანცულიყო, რაღაც ნაღველს ხატავდა. ხშირათ შრიალით ჩამოუფლიდენ ახალგაზდა, უზრუნველი ქალები, კობტათ გამოწყობილი ყმაწვილები, ამაყათ გამომყურე მდიდრები, წელში მოხრილი დაავადებულნი სწეულნი. დესიკო არავის უყურებდა, იმას არავისთვის სკალოდა. მაგრამ აგერა დესიკოს ყურში შეეგმა აბრეშუმის კაბის შრიალი, თავი აიღო, რომ სული მოეთქვა და მოქანცულის თვალებით შეაჩერდა მშვენიერის ქუეყნა თვალებს. მშვენიერის ქუეყნა თვალბეც დაკვირვებით უყურებდენ დესიკოს, დასცქერავდენ იმის გახუნებულ მოსასხამზე. მშვენიერს წარბებ შუა გაუყეთდა ოდნავთ შესამჩნევი ნაკვეთი, ლამაზმა ტურებმა გარემოა ჩრდილი შემოიყენა, დესიკომ ცხადათ ამოიკითხა მის თვალბეცში: —„ვითომ შენც რომე ხარ ამ ქვეყანაზეო“?.

ამ დროს მშვენიერის წამოეწია კობტა ყმაწვილი კაცი, ქალმა კეკლუცათ მიიღო მისი სალამი, დესიკომ კვალთ შეხედა მშვენიერს და ამისმა თვალბეცამაც უსიტყვოთ გადასცეს მაგიერი პასუხი:

—მებრალბე, საცოდვაო, რომ ცხოვრებას არ იცნობ!

კვალათ სურათი სურათმა შესცვალა, შთაბეჭდილებანი მოქუდნენ და ერთმანეთში გაურკვევლად აირივნენ.

დესიკო უკვე მიახლოვებოდა ქალაქის ბაღს, შეუხვია ქვეფენილდან.

დესიკომ იგრძნო, რომ თითქო ცოტათი შემსუბუქ-

და, ფეხ-ქვეშ ეგებოდა რბილი, ფხვიერი ღედა-მიწა, რომელიც ბილიკებათ მიღობდა მწვეან ბუჩქებსა და მაღალ ხეებს შუა. ბუჩქებს გარს ევლებოდენ წვრილი მავთულეები, რომელნიც იფარავდენ ათასფერათ გამომყურე ყვავილებს შეხებისაგან. ხეებს ქვეშ სკამებზე მოსხანდენ ახალგაზნანი, ზოგან დარბაისელნიც, დესიკო აქეთ-იქით იყურებოდა, ეძებდა ცარიელ სკამს, მაგრამ ყველგან ადგილი დაქვრილი იყო.

—რა დროს დასვენება! ისინი ყოველთვის ქვევით ბაღში არიან ხოლმე, ვაიფიქრა დესიკომ და გაღიარა ქუჩა, რომელიც შუაზე ჰყოფდა ბაღს. მართლაც აქ სკამებზე ჩამწკრივებული იყვნენ ქალები, გამვლელ-გამომვლელს შესწერებოდენ.

დესიკომ ფეხს აუჩქარა, მივიდა ერთ სკამთან, რომელზედაც ცარიელი ადგილი დარჩენილიყო და დაჯდა. დაღალვიდან გული ასდი-დასდიოდა, ხელსახოცი თოფს იწმენდავდა, კარგა ხანს ხმას ვერ იღებდა. აგერა დესიკომ მოხედა ქალებს და ღიმილით ჰკითხა:

- თქვენში მოსამსახურეთ ხომ არავენ დგება?
- ყველანიც ვეძებთ ადგილს, მოისმა პასუხი.
- დესიკომ ზამთათვალთა ქალები.

—თქვენ როგორი მოსამსახურე გნებავთ: მხარეთული, მოახლე, მოსარტეცე, თუ ყმაწვილების მომვლელი? ჰკითხა ბოხი ხმით ერთმა შავ-კაბა შუახნის ქალმა, რომელსაც სახე ჰქარხლსავით გასწითლებოდა, ცხვირის ნესტოები ბურუნთით გამოურდა.

—მე მინდა იმისთანა, რომ რაც საქირა იქნება ყველაფერი ზამიკეთოს, სადილი მოამზადოს, სარტეცი დატეხოს, ოახებში დალაგოს, უპასუხა დესიკომ.

- ყმაწვილებიცა გყავთ?
- მყავს.
- რადენნი?
- ორი.
- დღდი თუ პატარები?

—უფროსი ხუთი წლისაა, უნტროსი სამისა. ბავშვებს მე თვითონ ვუვლი. მარტო მაშინ თუ დაიქვრს მათზე თვალს, როდესაც რამე საქმისთვის მომიხდება სადმე წასვლა.

—ჯამაგირს რას იძლევი? ჰკითხა კვლათ შავ-კაბა ქალმა და სახეზე დამკინავემა ღიმილია გადაურბინა.

- თუმანს.
- მაგდენი საქმე და თუმანი?.. თავი მოსაკლავი ვისა აქვს!.. ოხერი თუ იქნება ვინმე, თორემ მაგ ფასში ვინ დაგიდგებათ?..

ამის გავგონებაზე სხვა ქალებმა სახე არიდეს დესიკოს და იქით მიბრუნდნენ.

—მავს რათ ამბობ, ჩემო დედა, ყველას თავისი ანგარიში აქვს. ვისთვისაც სასარგებლო არ არის ამ ფასში წამოსვლა, რასაკვირელია, არ წამოვა, მაგრამ ყველა ხომ შენებულობა არა სჯის? თვეში თუმანი არც ისე ცოტაია, რა აგრე სუბუქათ დაიქვრე. ვისაც როგორც უქირს, ისე უღირს! დაუმატა დესიკომ და გადახედა ქალებს.

დესიკოს არ მოსწონდა შავკაბა ქალი და გადასწყვიტა კიდევაც რომ წამოჰყოლოდა, არ აეყვანა და ახლა სხვებს მიმართა.

არც ერთის აქ მყოფის შეხედულება დესიკოს გულს არ იკარებდა, რომელნიც უფრო ყმაწვილები იყვნენ, ფერ-უზარისისაგან სახე ულაპლაპებდათ, ტუჩები შეღებოდათ, თავიდან მოსახვევი ვადასკებოდათ და შუბლზე გამოჩენილი ხუჭუტები გადმოწყოდათ. მათი თვალები ხშირათ იხედებოდენ იმ მხრისკენ, საითაც ახალგაზნა ბიჭები შეგროვილიყვენ და ერთმანეთში ლაზუნდარობდნენ. ეტუბოდათ ისინიც ადგილების მძებნელნი იყვნენ და ცუდდობის გამო ლაპარაკით თავს იქცევდნენ.

—შენ რაღას აკეთებ აქ?.. მიუბრუნდა დესიკო ახალგაზნა ქალს, რომელიც საშინლად გამხდარყო, სახეზე სიკვდილის ფერი დასდებოდა.

—ესეც ადგილს ეძებს... მიატანეს აქეთ-იქით ქალებმა.

—ადგილსო? მერე სად შეუძლიან ადგილზე დადგომა, როდესაც ავადმყოფია?

—მე ავთ აღარა ვარ, ქალბატონო, მოგრი. ორი დღეც იქნება, რაც საავადმყოფოდგან გამოვეწვიე! დაილაპარაკა სუსტის ხმით ქალმა და ევერებით შეხედა დესიკოს, თითქო სთხოვდა აეყვანა. დესიკოს შეეცოდა და თანაგრძობით ჰკითხა:

—რითი იყავი ავთ?

—ალბათ გავიციდი. უპასუხა ქალმა.

სხვა ქალებმა კი პირზე ხელი მიიფარეს, თითქო სიცილს იკავებდნენ. დესიკო მიხვდა, რომ სწული ქალი სტყუოდა, იმის თავს სხვა უფრო სახიფათო იყო და თვალი მოაშორა. ეს დარწმუნდა, რომ ამ სკამზე ამისთვის არც ერთი გამოუსადეგარი არ იყო და ადგა ზეზე.

—თხუთმეტე მანეთი მიბოძეთ და მე წამოგყვებით, შეევაქრა ისე შავკაბა ქალი.

—არა, არა! საჩქაროთ მიატანა დესიკომ და მოშორდა სკამს.

—შენისთანა გახუნებულ ქალბატონისგან მეტსაც არ უნდა მოელოდეს ადამიანი. მოესმა უკანიდან, მაგრამ დესიკომ ყური არ ათხოვა ამ სიტყვას და სხვა სკამთან მივიდა, მაგრამ სხვა ქალებმაც იცოტავეს დესიკოს ჯამაგირი.

—თუ გნებავთ, მოახლედ წამოვალ, უთხრა ტუჩების კენკრით ახალგაზნა ქალმა;

—ჯერაჯერობით ერთი ღედაკაცი მეყოლება და მერე ამ ცოტა ხანში ძიძის მოყვანაც დამქირდება, განავრძო დესიკომ.

—ძიძაც დაქვრდებათ? იკითხა მეორე ქალმა, რომელიც აქამდის ხმას არ იღებდა.

—ჰო, დამქირდება, მიუგო დესიკომ.

—მამე მე წამოგყვებით, ქალბატონო, სქევა ისეც იმ ქალმა და წელში გაიმართა.

—მე ეხლა ძიძის არ ვეძებ...

—არა, ქალბატონო, წინანდელ პირობაზე ვიახლდებით.

—შენ მისდევ, ნატო? გოაცებით შეეკითხნენ ქალები და უკმაყოფილოთ შებღვირეს.

—მარტო წასვლა კი არ არის. საქმე პირობის შესრულებაა.

—თუ ვიქირებ, კიდევაც შეეხარებოდა, უბასუხა მკვახედ ქალმა და ისევ მიუბრუნდა დესიკოს, რომელსაც გული მოსდოდა ქალების მეტრორობაზე.

—ბავშვი ხომ არ არის, თავისი საქმე თვითონ უფრო არ იცის... რაკი თქვენ არ გინდით წამოსვლა, სხვის რაღათ უშლით? მოუთმენლათ ჰკითხა დესიკომ.

—ჩვენ რა... ჩვენ რა გვენაღვლება! წაიხურტყუნეს დედაქალაქმა.

—მამუ ყველაფერი შეგიძლიან გამიკეთო თვეში თუმნათ? ჰკითხა ნატოს დესიკომ.

—ყველაფერი.

—ბილეთი ხო გაქვს?

—მაქვს.

—მამუ წაივლით.

—იი გიხილებით, უბასუხა მორჩილათ ნატომ, წამოღდა, შალი გაისწორა და გამოჰყვა.

(შემდეგი აქენა).

ანსტანია ერისთავ-ხოშტარია.



**ავსტრიის მომხმარებელი
სახოვადლებათა კონგრესზე.**

წერილი ვენიდან.

ამ დღეებში ქ. ვენაში მთელი ავსტრიის მომხმარებელ სახოვადლებათა კავშირმა მოახდინა შექვეყნების სიხედი. 134 სახოვადლებისაგან იყვნენ გამოგზავნილი დელეგატები. სხდომას დაესწრენ არერთვე სტუმართა საგრძნობელი რიცხვი; იყვნენ გერმანიის და ინგლისის მომხმარებელი სახოვადლებათა წარმომადგენლები, მსურველი მონაწილეობას იღებდნენ თვით ავსტრიის ს.-დემოკრატიულ პარტიის და პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლებიც. კრება გახსნილი იქნა ადგილობრივ ს.-დ. ცენტრალურ კომიტეტის წევრთა, ამა. ემმერლინგის და ნევილის თავმჯდომარეობით.

უმთავრესი გადასაწყვეტი სა კითხი იყო ის, თუ როგორ საშუალებებით უნდა ებრძოლოს კონსუმ-ფერაინებმა*) წერილ მრეწველ-ვაჭართა შემუშავებულ თავებობას და თავ-გასულობას. როგორც დელეგატები კრებას აუწყებენ, ამ ბოლო ხანში წერილ-ვაჭართა გაშმაგებული გამოლაშქრება კონსუმ-ფერაინების წინააღმდეგ სახუმარო საქმედ ვერ ჩითვლება და ჩვენგან ითხოვს შესაფერ ზომების მიღებასო. მართლაც, თუ წინათ კანონი შესახებ კავშირის დაარსების და მოქმედების ასე თუ ისე დაუბრ-

კოლექტივი ცხოვრებაში ტარდებოდა, —ეს კანონი ავსტრიაში 1873 წლიდან არსებობს, —დღეს ის შეზღუდულია, დღეს მისი განხორციელება საშინლათ ფერხდება და ძველდება. აშკარა და უზთავრესი დღენა ამ კანონისა სასამართლოების მხრიდან სწარმოებს, თუმცა, როგორც ქვემოთ გავიგებთ, სახელმწიფოს სათავეში მდგომი მთავრობაც მის შესახებ ხელს არ აკლებს. ახლათ დაარსებულ ფერაინის დამტკიცების დღის სასამართლოები ყოველგვარი ხრიკებით და ძალ-მომკრებობით სარგებლობენ, რომ მით, ვითომდა არსებულ კანონის ძალით, შემუშავებულათ ჰყონ ფერაინის ცხოვრებაში გატარება და მოქმედება. ამ აზრის დასამტკიცებლათ ერთი რევენანტი კრებას ამცნობს მთელი რიგ ფაქტებს, სადაც ნათლათ გამოიკრთის სასამართლოების უსამართლობა. მაგ. ერთ ალაგას ერთმა ფერაინმა სახლათ დაირქვა „არა დახურულ (nicht geschlossenste) წევრთა რიცხვის ფერაინი“. როდესაც ამ ფერაინის კანონიერათ აღიარებაზე მიდგა საქმე, სეაქრო სასამართლომ ის არ დამტკიცა იმ მოსაზრებით, რომ დასახლებული ფერაინი მუშების ფერაინია, და არა „რალაც“ — „არა დახურულ წევრთა რიცხვის ფერაინი“. მეორე შემთხვევა ეტება ფერაინის სტატუტის ერთ მუხლს. ამ მუხლის ძალით წევრი ირიცხება ფერაინიდან, თუ კი მას სამი თვის განმავლობაში ფერაინის საქონელთა საწყობისაგან არაფერი გაუტანია, ესეც სასამართლოსაგან უკანონოთ იქნა აღიარებული იმ ხრიკით, რომ თუ ერთი არ იყიდოს, სხვა წევრები ხომ მიიწე ხარკავანო და რათ დატკირდათ ამ გვარი უკანონობის გაბატონებოთ. კიდევ შეიძლება აუარებელი მაგალითების მოყვანა, მაგრამ ვშიშობ ეს ძლიერ შორს წაგვიყვანოს და საქმის გასაცნობათ წარმოდგენილი მასალაც საქმარისია. რაც შეეხება თვით მალო მთავრობის დამტკიცებას, არც ის იხებს უკან და ყოველ ღონეს ხმარობს არსებულ კავშირთა შედგენის შესახებ კანონს როგორმე ფრთა შეაკვეცოს და შეზღუდოს. მთავრობა კიდევ ალაპარაკდა კავშირის კანონის შეცვლის საჭიროებაზე, მან. უკვე დანიშნა განსაკუთრებული წინასწარი კომისია, რომელსაც დაავალა რაიმე პროექტის შემუშავება შესახებ კავშირის კანონის შეცვლისა ანუ შესწორებისა. თუ შედეგობაში მივიღებთ იმას, რაც ამ კომისიის მუშაობაზე ისმის, მაშინ დაბეჯითებით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კანონის შეცვლა-შესწორება წერილ-ვაჭართა სასარგებლოთ იქნება მოხდენილი. ძნელი გასაგები არ არის თურით აიხსნება ამ გვარი განზრახვა მთავრობისა და სასამართლოებისა.

დღეს ავსტრიაში სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე სავსებით კლირიკალურ პარტიის ხელშია; მისი ბატონობა აქ დღეს განუსაზღვრელია; მთავრობაც იძულებულია მის მოთხოვნას ყურით ათხოვოს და წარბ-შეუხრებლათ ყოველ მის გულის წაიღოს, მის სურვილს ანგარიში გაუწიოს. თავის მხრივ კლირიკალური პარტია განსაკუთრებულ საჭიროებას ხედავს თავის ბატონობის შესანარჩუნებლათ და უფრო გასაძლიერებლათ წერილ-

*) ალაბ-ალავ ემბრობ სიტყვას „კონსუმ-ფერაინებმა“ — მომხმარებელ სახოვადლებათა მაგვირათ.

მრეწველ-ვაჭარ მასსთან მტკიცე კავშირი შექარას და ნიშნათ მის კეთილ-მსურველობისა კონსუმ-ფერაინების წინააღმდეგ ბრძოლა გაიწიოს. ექვს გარეშეა, დღეს წვრილ-ვაჭართათვის თვალსაჩინო და აშკარათ ხდება ის ვაჭარობა, რომ რაც უფრო იზრდება და ვითარდება კონსუმ-ფერაინები, მით უფრო ეცლებათ მათ ფეხ-ქვეშ ნიადაგი, მით უფრო საეკეთათ ხდება მათთვის წვრილ-წარმოების შემწეობით სასურველ მომავლის განხორციელება, ისინი, როგორც წვრილი მესაკუთრნი ბუნებრივით იძულებულნი ხდებიან, ან თავი გაანებოს თავის საქმეს და ან კიდევ შეეცადოს ბრძოლით ძველი დროის დაბრუნება, როდესაც კონსუმ-ფერაინების ქიშპობა არ არსებობდა. ისინი თავის ვაჭრულ პსიხოლოგიას ვერ ღალატობენ და არჩევენ მეორე გზას,—ბრძოლას ახლათ მოვლენილ მტერათა წინააღმდეგ.

კონსუმ-ფერაინების წარმოშობა-განვითარება, როგორც განმანადგურებელი მომენტი წვრილ-ვაჭრების ცხოვრებაში, ბუნებრივით და სულ ადვილათ გასაგებია. მეტსაკვიტყვით — ის აუცილებელია, რადგან ერთი მეორის უარ-მყოფ ძალებს წარმოადგენენ. კონსუმ-ფერაინის მიზანია, რაც შეიძლება კარგი და ღირსებინაი საქონელი შეიძინოს და რაც შეიძლება ნაკლებ, ხელსაყრელ ფასებში დაუთმოს მყიდველს; მიზანი წვრილ ვაჭრისა კი ამ გვარი ვერ იქნება, რადგან ის თავის ინტერესთა წინააღმდეგ ვერ წაიყ. ცუდი, ნაკლებ ღირსების საქონლის შექმნა წყარომოდლისაგან, და მტეი მოგება, მტე ფასებში გაყიდვა,—აი წვრილ-ვაჭრის გულის თქმა, აი მისი სათაყვანებელი პრინციპი. აქედან აუცილებელი შედეგია, რომ მყიდველი წვრილ-ვაჭართა საქონლით არ სარგებლობს და ფერაინების საქონელთა საწყობში მიეშურება. მყიდველთა რიცხვის შემოკლება საესებით გვიხსნის წვრილ-ვაჭრის სასოწარკვეთილებას, მის ტირილს და ღრიალს, მის გაშმაგებას: „აჩიპა! გვიშველეთ, ვილუბებით, მტერი თავიდან მოგვაშორეთ“.


მუშათა კლასისათვის მომხმარებელ საზოგადოებათა მნიშვნელობას—რაც ევროპაში წინათ აბსურდით იყო მიღებული—დღეს ევრაინ ყოფს უარს. კარლ კაუტსკი ერთ ალაგას შემდეგ აზრს იცავს: „მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსება საესებით ეთანხმება ჩვენი პროგრამის პრინციპებს, ის კი არა, ხანდისხან ჩვენი პროგრამა პირდაპირ გვიკარნახებს მის დაარსებასა“.

მეორე ალაგას ის სწერს: „თუ სხვები პირდაპირ სასაცილო ილიუზიებით და იმელებით იმსქელებიან მომხმარებელ საზოგადოებათა მნიშვნელობის შესახებ, ეს ჩვენ მაინც არ გვიშლის ვალიარათ, რომ მომხმარებელ საზოგადოებებს შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ მუშათა განმათვისყოფლებელ ბრძოლაში, მაგრამ, დასძენს კაუტსკი, არა იმგვარი, როგორც პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთა.“ (იხ. „მომხმარებელი ახზანგაბები“ კ. კაუტსკის). ექვს გარეშეა, გადაქარბებულიც არ უნდა იქნას მომხმარებელ საზოგადოებათა მნიშვნელობა მუშათა კლასის საქმისათვის, როგორც

ეს ბერ ჩვენ მოწინააღმდეგეებს წარმოუდგენიათ. ყალბია მათი შეხედულება, ვითომ მომხმარებელ საზოგადოებებს და საერთოდ კოოპერატიულ მოძრაობას საბოლოო სოციალურ კითხვის გადაჭრა შეეძლოს, ვითომ კოოპერატივის საშუალებით შესაძლებელი იყოს მუშათა კლასის მიერ სოციალიზმის განხორციელება. ეს შეუცდარი აზრია უტყველათ, მაგრამ არც ის უნდა დაივიწყეთ, რომ თვით განსაზღვრული მნიშვნელობა მომხმარებელ საზოგადოებების მუშათა კლასისთვის, როგორც ერთ-ერთ საშუალებათაგანის მის ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის ასაძალებლათ, თვით ამ გვარი მნიშვნელობა ყოველგან და ყოველთვის გადაქარბლათ მისაღები ვერ იქნება.

(შემდეგი იქნება).

მ. მაგალობლიშვილი.



შურნალ-პაჭთომიძისა.

ნაციონალური პაკივი. ამ კმათ ბელგიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ღირს საკითხთა გადაქცეულა კონგოს (აფრიკაში) შემოკრთების საქმე. ამის შესახებ იქაურ ვაზ. „Petit Bleu“-ში ცნობილობა იურისტმა და სენატორმა ედმონდ ჰიკარმა—მიმართულებით სოციალისტია—ამას წინათ მოათაგესა ერთი წერილი, სადაც იგი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ბელგია, თუ არ მისაკუთრებდა აფრიკის ხსენებულ კუთხეს, იგი არა მარტო ნიეთიერთ ჩამოქვეითდებოდა, არამედ ავრთფე უნკობრივითაც დამცირდებოდა. ბანი ჰიკარი, სხვათაშორის, სწერს:

„ხალხები, რომორც ინიდელები, უმეტესათ სულდგმულობენ თავიანთ ღირსება—პაკივით. ამ ზნეობრივ მარბა-ლობას (გამწელობას) მითხ და სხვებუდეც სულცხოვ და ჯალდსური ზეგაველენა აქვს. არ შეიძლება შენ თავსა ბრძნობდე შელაზულათ ან სხვას ეჩვენეოდელ დამცირებულათ. ყოველივე ზნეობრივ დამცირებას კერძო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შედეგათ მოსდევს პირადი ენერჯის დაქვეითება და სოციალურ და ინტერნაციონალურ ურთიერთობათა დაუსუსტება... მარბაღუდევი ძალა, რომლის სათაფე კარბთ არ არის გამოთკეველი, ევროპა—მეორედ რასის ხალხებს ეწვევა კოლონიზაციისაქენ. ამ ხალხთა ბელ-ილბალი თითქმის მანგებისგან აღბეჭდილია საიდუმლო მიხნით, რომელსაც ევრაინ დამბაღუბა ისე, რომ არ ჩაგარდეს ღირს განსაკუდეღში. ყველაზე უფრო საუკეთესო ქვეყნის არის, რომ აღამაინა და ნაკიები საესებით მიენდენ ამ დიად ისტორიულ მიმდინარეობათ, რომლის უმდინური შედეგ—ზომჯგერ უბილანთ დაფარული თანამედროვეთათვის—გამობრწყინდება მხოლოდ მომავალში...“

ასეთ მოსაზრებებით პაკივცემული ავტორი ბელგიის ხალხს ურჩევს კონგოს დაბატრონებას. იგი ერთობ მოქარგული ენითა სწერს, მაგრამ ამათ. ჩვენც ღირდათ ვთავსებთ ნაციონალურ ღირსება—პაკივის შეგენებას, ვთავსებთ ნაციონალურ თაფორყვარობებს, მარა მაინც უნდა შევნიშნათ, რომ მხოლოდ ნაციონალურ

გარნობებზე მინაბრებულ ადამიანს—თუნდაც იგი სუბიექტიურათ სოციალისტიკ იყოს—ძალიან ადვილათ შეიძლება შეტრობოს, და უნუგეშოთ შეტრობოს, ნაციონალიზმის მორევი. ამას შეკრ-მეტყველურათ მოწმობს ზემოთ მოყვანილი სტრიქონები.

* *

რუსეთის ეკლესია-მონასტრებში. კიევი გამარ-თულ მისიონერთა სიეზნის გამო, სადაც თათბირია „ქრისტიანულ სათნოების შეადგებულთა“ დიად ზნეობრივ დანიშნულებაზე, სხვათა შორის, გაზ. „Сиб. Вѣд.“ სწერს:

„ჩემი ვეფიქრება, რომ მისიონრობაზე ლაბარაკი ჩემნი მონასტრებისათვის გვირ კიდევ ადრეთ: უწინარეს ყოვლისა ჩემნი მონასტრები წმ. ეკლესიიდან არავის არ უნდა აღრთხობდნენ და არ უნდა აღღუნებდნენ თავიანთ სასიზღარ შინაურ წყობილებით და არა ნაკლებ სასიზღარ გარეგნობით.

სათქმელათაც სამარცხვინოა: ლოთობა ბერებისათვის აღარ ითვლება მხაკრობათ. ზომიერი გარყვნილება,—მხოლოდ უსკანდალოა“—ითვლება აგრეთვე ბერების უბოროტობათ... სიმართლითა და სიმტკუნით კაპიტალების შეგროვებაც სრულად არ ითვლება თვით მონაზნობის აზრის უარყოფათ. ერთის სიტყვით თანამედროვე ბერი,—ეს მხოლოდ უცოლია კაცია, რომელიც არაფერს არ იკლებს, ქვიფი-ღრღას-ტარება და თვით ენერგიულ ავითმყოფობათ რჩენა მისთვის ჩვეულებრივი რამეა.

იგივე გაზეთი და თვით ისეთი ორგანოც, როგორცაა „Мок. Вѣд.“, იმავე სხელი ფერადებით აღწერენ აგრეთვე რუსეთის სამღვდელთა ზნეობრივ გათახსირებას, და ბოლოს დასკენიან, რომ ბოროტების ძირი არქიეპისკოპოსებში უნდა ევდიოთო. ნაღვლიათ კი, საქმეში ჩახედულმა იცის, რომ ასეთი ძირი დაფარულიათ თვით საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ვითარებაში.

* *

რა არის თანამედროვე რუსეთი? გაზ. „Руск. Вѣд.“—ში. ბ-ნი ა. კიხევეტტერი სწერს:

„თუ შევეჩვიოთ: რა არის თანამედროვე რუსეთი?—უბასუხეთ: ეს არის ქვეყანა, სადაც მინისტრი ღმერთს მადლობას სწირავს და იმედი აქვს ახალი სესხის აღებისა; გუბერნატორი თავს უზრუნველთ გრძობს იმ დამღუბელ „საგანდობო“ საქმეებით, რასაც ახლენებს მის მიერვე ნაკებ-ნადი-მებით დამკვეთები, ხოლო კაც-მოკლევი ფილოსოფოსი კი *), განსკრეტს რა გარემოებებულ გითარებას, მტანჯველ მუშაობებით ნატრობს თავის თავისთვის საღრბობეულს“. მახლას!

სასწავლო-განკრთ.

მოხუცებულ მუშათა პენსია ინვლისში. ბილი (კანონ-პროექტი) მოხუც მუშათათვის სახელმწიფოს მიერ პენსიის დანიშნის შესახებ შესამთ წკათხების შემდეგაც გვიღა ქვედა ხალატში. ჩემნი დროის ერთი უმთავრესი რე-

ფორმაზაცია, რომელიც გვამნობს საზოგადოების ხსელ დამოკიდებულების თითველ მოქალაქის პიროვნებასთან უხელ განხორციელდეს ამ ხსელ მომავალში. კანონ-პროექტის განრჩევის დროს თინსნათ მინისტრს წასთაყენ ასეთი თქმისა: „თითველს, ვინც თავის შრომით დახმარება იღებულების შემქნის, უიეე აქვს უფლება მიადოს ჯოდლა სახელმწიფოს სჯან, როდესაც მის მოხუცებულობას წასრამიქს დონეს“. კანონ-პროექტის კარჩევის დროს ოპოზიციის წევრნიც ხამღლეი პარტიხანული ხსისათი. კონსერვატორებმა ვერ მოახერხეს პრინციპიალურათ ბილის წინააღმდეგ წასვლა, ამისთვის იმათ გადაწყვეტეს, რომ კრძობ კომინერებს (დემუტატებს) მიეტანათ აერაში. კომინერთა ერთი მუჭა ჯგუფიდან გამომდინარე კანონ-პროექტი, რომელიც თხოვულობს კანონ-პროექტის რეიდან მისხნის. ის ასათუებად თავის მოთხოვნას იმათ, რომ ეს ბილი გწინააღმდეგებობდ პარლამენტის მიუელ წარსულ მოდელწიფობას დატკათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. აქამდის ამგვარი მოქმედება თანხმებოდ პრინციპებს, რომელზედაც ამქნებულა 1834 წ. კანონი და რიბების შესახებო. მართლაც, ამას შემდეგ პირობები შეიფულა, მაგრამ მთავრობამ ამისთვის დანიშნ კომისია, რომელზეც უნდა გამოთქვამოს, თუ როგორ სწარმოვის კანონი დატკათა შესახებ. „უელს კი—კულას წერითათ ამბობს სერ კენრი კრეიკი—მთავრობამ არ დაუცდა ამ კომისიას და შემოაქვს სრულიათ ხსელი კანონ-პროექტი დატკ მოხუცების შესახებ. მთავრობა ბამის ხსელ უელანდის, რომელიც დიდი პრინციპის თლენა სიერეთი, მაგრამ მისი მტხოვრება რიცხვი არ აღემატება იხელისის პიროვინციალური ქალაქის მტხოვრებულებისს. რისთვის ძველმა ინვლისმა თავის მრავალსუიუნიანი კულტურით უნდა მიამახოს ხსელ ქვეყნას, რომელიც დროძინდა წყენი თელის წინ? რისთვისაა მეტრეპოლი ვაღდებული, რომ მიამახოს კლდინას, რომელზეც არ იბრის რთუთმას მოქმეობს დამღუბელი შედგები. ჯოდლა შეამცდრებს გასსივდედ ძლას იმ მოხუცებულთა, რომელთაც შეკრბოეს თავის მდირე-რამ რენტა. ჯოდლას მოვლების დროს მოხუცებულები ითულებული იქმნიებიან მოისმიხონ დამამცდრებელი კითხვები. სერ ჭენრი პროტესტს ადგადლეად ბილის შესახებ წკათხების წინააღმდეგ, რადგან ის აზის წინაპრობედა აუფრებულ სივლასიტრუ საომებისა. თუ ეს ბილი გავს, პარტიები დაუწყებენ ერთი-მორის მეტრეპობას სხვადსხვა სრეებში ამჩნეულების მისამხრობათ. სერ ჭრეის რეზოლიუციას ბილის რეიდან მოხსნის შესახებ მართლათ გაცნა მისცხ ხმა. ოპოზიციის ბუღადები ან გავიდენ ხალატინან ის სემინისტრის ბილს მისცეს ხმა. მეორე რეივის წინააღმდეგობა იფო ასეთი. კრიტიკოსები არაფერს არ ამბობდენ პრინციპიალურათ ბილის წინააღმდეგ. მაგრამ როგორც „მეგობრები ხალხისა“, კონსერვატორები ბუგნს დანარკობდენ სახელს ტანჯვის შესახებ. კრიტიკოსები აღნიშნუდენ იმას, რომ თუ მომავალში დარჩებოდა ასეთი წკით ხარჯ-გარწროს, რომელიც ეხლად რისკისა, არ იქმნრებს ფული მოხუცთა ჯოდლასთვის. ეს რეფერმა აძიულებს ქვეყნას, რომ შემდგომის ხარჯი ფლტკე. უფრო გა-

*) ივლისხმე ლეე ტოლსტოის უკანასკნელი წერილი—იოკვლითო დასჯის წინააღმდეგ—რა შემიძლიან გავრუდე“.

ბეღლები ამტკიცებდნენ, რომ საქართველომ უნდა იქონიოს „კადასტრი“. შემდეგ აღნიშნულენ ისეთი არგუმენტები, რომელიც კონტინენტის (ხმელეთის) მცხოვრებთათვის სრულიად გაუგებარია. ინგლისში არაა საქართველოში დოკუმენტები. მილიონობით იბადებოდა ხალხი, სწავლდნენ, ქორწინდნენ, ვაჭრობდნენ, მთავრობდნენ, მაგრამ არც ერთი არ გვინახავს დოკუმენტების საჭიროებას. ინგლისელიები ძვირად იყიდებენ ამ მიზნად თავისუფლებას და მაღლიდან დაწვეულებს არა თუ რუსებს, რომელთაც უნდა მხრობდათ არ შეუძლიათ ბინის გამოცემა, არამედ ნებების და ფრანკების. კონსერვატორების ბედად იწვევდნენ კომუნისტებს, რომ ამ ბილდის გასვლით შეეგებებოდა ბრიტანეთის თავისუფლებას ფრთხილად. მართლა— ამბობს ბაღუთი— ბებერი, რომელიც მიმართავს სახენისო კასს, იძულებულია დაამტკიცოს, რომ ის სიმდიდრე და ათა წლისაა. როგორ უნდა დაამტკიცოს? საქართველო მეტრაეული მოწოდება, ვის აქვს ეს? თქმა არ უნდა, რომ ეს არგუმენტი არა ერთხელ ორხელ განმეორდება კონსერვატორების მიტინგებზე. ლიბერალურ სპინისტრას დასდებენ ბრალს იმაში, რომ მან მცხოვრებთათვის ერთი ნაწილი ჩააყენა ისეთი გარემოებაში, რომ ის იძულებულია დოკუმენტებით დაამტკიცოს თავისი სწავლება. მუშათა დემუტრატები აკრიტიკებდნენ ბილდს და თხოვდნენ 6 წ. 70 წლამდე მკაცრად. მიუხედავად ამის ბილი ერთხმად იქნა მიღებული. მოაფრანგებო მიიღო რამდენიმე არსებითი შესწორება ბილის, რომელიც უნებურად მუშათა დემუტრატებს. აგერ, ესაა ჯილდოს სიდიდე დამოკიდებულია მოხუცთა შემოსავალზე (slieling scale). ბებერი მოხუცი უყვებოდა იღებს ზომებს, რომ ისინი უნდა იყოს ახალი კანონით. (თუ ღირსეულია მალევე არ უარყოფი 1 იანვრიდან 1909 წ. შეეცაძა). როგორც ვიცით, ჯილდოს სახელმწიფოსკან მიადებს ის მოხუცი, რომელიც არ დებულობს თითხმეტრ შიდაზე მეტს ვერაში. ის მოხუცი, რომელიც მიმართავდა ჯილდოს ვადელებული იყო დემუტრატებისათვის შრომის მოყოფარებას, რაც იწვევდა ბიროკრატების ჩრუვად კერძო ცხოვრებაში და რაც ინგლისელს ძალზე სამარცხვინოთ მიანახა, ესაა მუშათა დემუტრატების შესწორების შემდეგ ეს ნაკლები ამორეგულ იქნა. იმ მოხუცს, რომელიც მიმართავს სახელმწიფოთ ვილდოს, საკმარისია იმის სიხშირით, რომ ის 10 წელიწადია წევრად ტრეადუნიონის ან მეტროპოლის საზოგადოების— ეს კი საკმარისია სიხშირით შრომის მოყოფარების დასამტკიცებლად. უწინარეს უფლების კანონ-პროტექტის ნაკლები უნდა ჩათვალდეს ის, რომ ზენისის მიღების უფლებას ეძლევა მხოლოდ სიმდიდრითი წლის მოხუცებულს. დღევანდელ ფაბრიკის მირობებში სიმდიდრე წლის მოხუცებს აღარ შეუძლიათ იბოლონ სამუშაო. მაგრამ ფაბრიკის მუშები ჩვეულებრივად ემუშავებიან რომელიმე ტრეადუნიონის, სიდახნე დებულობის მცირე რამ დახმარებთან. მაგრამ მაგ მუშის არ შეუძლიათ გადაიხადონ სწავრო ფული და ამისთვის რეზიან გარეთ. სამცხედანუთა წლის შვიდი მუშა უყვებ დამუშავებულად. პრეპიერმა და ფანანსთა. მიანსტრმა მიადეს, რომ საქართველო იყო ზენისის შემოღება 6 წ წლიდან, მაგრამ ამისთვის

საჭირო იქნებოდა 130,000,000 მან. წელიწადში და 70 წლიდან კი საქართველო 70,000,000 მ.; აი ამისთვის საჭირო წლებინობის ვადის შემცირება უნდა გადახდებოდა. მეორე ნაკლები ბილდის ისაა, რომ ის დეტალები, რომელიც დებულობენ საზოგადო დახმარებას, არ შეიძლება შვიდი ფანანსთა მიანსტრამ სთქვა, რომ მომავალ 1909 წელს შემოიტანს კანონ-პროტექტის დეტალებს შესახებ არსებულ კანონს შესაბამისად. თქმა არ უნდა, ეს კანონ-პროტექტი ანტიტებს მოქალაქეს ახალ უფლებას. აი სწორეთ ამში მდგომარეობის უწინარეს უფლების მიხედვით.

ლიონი.



ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენის კვალში

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ	7 მ.	—	კ.
ნახევარ წლით	—	—	3 მ. — კ.
სამი თვით	—	—	1 მ. 60 კ.
საზღვარ გარეთ ერთი წლით	7 მ.	—	კ.
ნახევარ წლით	—	—	4 მ. — კ.
სამი თვით	—	—	2 მ. — კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შური.

ხელის მოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი“ მადათოვის კენჭსული. ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოგზავნდეს ამ ადრესით:

Тифлиси книжный магазинъ „Сорапанъ“ (Мадат-островъ) Рахиль Каландадзе.

ხელმოწერული წერილები არ დაბეჭდვება. დაბეჭდვად მცირე წერილებს და კორესპონდენტებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს, ინახება ერთი თვით მხოლოდ მოთხრობები და დიდი წერილები.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევს 2 საათამდე.

რედაქცია იმყოფება ვანქის ქუჩაზე № 12, ზემო სართულში

რედაქტორ-გამომცემელი ანთ. გიორგობიანი.